CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 4 მარტი, 2009 წელი. №47 (2085) | ფასი 50 თეთრი

# რეკეტიორმა ბოსების ნდობა დაკარგა

## კრემლი ახალი მარიონეტის ძიებაშია

გიორგი ასანიშვილი



ოფიციალურ მოსკოვს ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმთან ურთიერთობა დაეძაბა. ამის მიზეზი გახდა აზრთა სხვადასხვაობა 10 მილიარდი რუბლის განკარგვის საკითხში. თანხის გამოყოფას კრემლი კოკოითის მთავრობას ჯერ კიდევ აგვისტოს ომის მიმდინარეობის დროს დაჰპირდა. ოსი ჩინოვნიკების მიერ სახსრების დატაცების თავიდან აცილების მიზნით, მოსკოვი მოითხოვს, რომ ფინანსური ნაკადები მთლიანად რუსეთმა აკონტროლოს, რასაც სუვერენული რესპუბლიკის მარიონეტული ხელისუფლება სწორედ იმ მოტივით არ ეთანხმება, რომ მოსკოვმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და ამდენად ფული სუვერენულმა სახელმწიფომ უნდა განკარგოს. რუსებსა და ოს სეპარატისტებს შორის ურთიერთობები იმდენად გამწვავდა, რომ ცხინვალში ახალი ომის დაწყებაზეც კი ალაპარაკდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ჩვენ მოვიყვანთ 9 აპრილს საქართველოში"

## ალიანსი საქართველოსთვის ხელმოწერებისთვის ემზადება

დათო გამისონია

ხვალ ირაკლი ალასანიას მიერ პრეზიდენტისთვის წაყენებული 10-დღიანი ულტიმატუმის ვადა იწურება. ამის შემდეგ, ალიანსი საქართველოსთვის საერთო სახალხო პლებისციტის ჩატარებას გეგმავს, თუმცა ამჯერად მოსახლეობას რეფერენდუმის დანიშვნის შეკითხვით არ მიმართავენ - ახლად შექმნილი ალიანსი პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით შეაგროვებს ხელმოწერებს. ალიანსის წევრები 5 მარტის შემდეგ რეგიონებში გასვლას გეგმავენ. მათი თქმით, პოლიტიკური ერთობა 9 აპრილამდე გულხელდაკრეფილი ყოფნას არ აპირებს, ხოლო შეუერთდებიან თუ არა 9 აპრილის აქციას, ეს მოვლენების განვითარებაზეა დამოკიდებული.

გაგრძელება A2 გვერდზე

### ტალიავინის კომისია სოხუმში

A3



### ჰილარი კლინტონის პირველი ოფიციალური ვიზიტი ისრაელში

A8



### საქართველო სულ სხვა ქვეყნის მიწაზე

A10



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

24 საათი | The New York Times — Articles selected for 24 საათი | Weekend

## 1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში “24 საათის” სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;
8 (99) 62 02 20 ვანო ამირანაშვილი.

CMYK - 1

## "თბილისს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება ძალით არ სურს"

საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე "როიტერისათვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ თბილისს თავისი კონტროლის ქვეშ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ძალით დაბრუნება არ სურს. "სამხედრო გადაწყვეტილება არ არსებობს. ჩვენ არ ვაპირებთ საოკუპაციო ძალებზე იერიშს. ერთადერთი გზა ეს პოლიტიკური და დიპლომატიური გადაწყვეტილებაა," - აცხადებს დავით სიხარულიძე.

მისივე თქმით, ამჟამად შეინიშნება აქტიური მოძრაობები ოჩამჩირესა და აფხაზეთის პორტში სამხედრო ბაზის შექმნის თვალსაზრისით. ამასთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ასევე აცხადებს, რომ გუდაუთის სამხედრო ბაზა აფხაზეთში სრულად ფუნქციონირებს. ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთში ასევე მიმდინარეობს მუშაობა სამხედრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის. სიხარულიძე ასევე მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთის მხრიდან პოლიტიკური ზეწოლა გაგრძელდება, "ეს მნიშვნელოვან როლს ითამაშებს რუსეთის ამ საქმიანობის აღსაკვეთად."

"აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში 10 ათასამდე სამხედროა დისლოცირებული და ამასთან რუსეთისა და ამ მეამბოხე რესპუბლიკების უარი, შეუშვან აღნიშნულ რესპუბლიკებში საერთაშორისო დამკვირვებლები, მთელი რეგიონის უსაფრთხოებას უქმნის საშიშროებას," - აცხადებს დავით სიხარულიძე.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## 9 აპრილის აქციის ორგანიზატორი პარტიები "ყუთების აქციას" იწყებენ

დღეს 9 აპრილის აქციის ორგანიზატორი პარტიები "ყუთების აქციას" იწყებენ. სამი დღის განმავლობაში (4, 5, 6 მარტი), 12-დან 18 საათამდე, მეტროსადგურებთან 9 აპრილის აქციისა და მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის შესახებ მოქალაქეებს საკუთარი მხარდაჭერის დაფიქსირება ხელმოწერით შეეძლებათ.

დღეს პარტიების ლიდერები მეტროსადგურებთან ასე განლაგდებიან: მეტროსადგურ რუსთაველთან - "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის"; მეტროსადგურ ნაძალადევთან - "ხალხის პარტიის"; მეტროსადგურ დიდუბესთან - "საქართველოს გზის"; მეტროსადგურ თავისუფლებასთან - "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის"; მეტროსადგურ დელისთან - "ქალთა პარტიის"; მეტროსადგურ მარჯანიშვილთან - "კონსერვატორების"; ხოლო ვარკეთილის მეტროსთან პოლიტიკური პარტია "თავისუფლების" ლიდერები განლაგდებიან.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ბელარუსის პარლამენტმა დღის წესრიგში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხი არ შეიტანა

ბელარუსის პარლამენტის 2 აპრილს დაგეგმილ საგაზაფხულო სესიის დღის წესრიგში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხი შეტანილი არ არის. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი ჯერჯერობით ბელარუსის პარლამენტში მხოლოდ განიხილება და 2 აპრილს დაგეგმილი საგაზაფხულო პირველი სესიის დღის წესრიგში შეტანილი არ არის. "დღეისათვის ჩვეულებრივი სამუშაო მიმდინარეობს და ეს საკითხი განხილვის სტადიაში იმყოფება. ჯერ ეს საკითხი არც დღის წესრიგის საკითხთა პროექტშია შეტანილი," - აცხადებენ ბელარუსის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატაში და დასძენენ, რომ ეს საკითხი ყოველ შეთხვევაში მარტის ბოლომდე დღის წესრიგის საკითხთა ნუსხაში ნამდვილად არ შევა.აღსანიშნავია, რომ ბელარუსის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხის შესახებ ევროპარლამენტში უკვე განაცხადეს, რომ ბელარუსის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება "სერიოზული წინაღობა" იქნება ბელარუსისთვის "აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამაში ჩართვის თვალსაზრისით." "ევროკავშირი არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და იმავეს ელის მათგან, ვისაც ევროკავშირთან თანამშრომლობა სურს," - განაცხადა ევროპარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ იაცეკ სარიუშ-ვოლსკიმ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# "ჩვენ მოვიყვანთ 9 აპრილს საქართველოში"

პირველი გვერდიდან

მომავალი გეგმების შესახებ 24 საათი ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთ ლიდერ მამუკა კაციტაძეს ესაუბრა.

**- ირაკლი ალასანიამ მოითხოვა, 5 მარტამდე დასახელდეს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ჩასატარებელი რეფერენდუმის თარიღი. პრეზიდენტისთვის მიცემული ათდღიანი ულტიმატუმის ვადა ხვალ იწურება. ამის შემდეგ რას აპირებს ალასანიას პოლიტიკური გუნდის, ახალი მემარჯვენეებისა და რესპუბლიკური პარტიის ალიანსი?**

- მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კონკრეტულად ვიცით, უარის შემთხვევაში რას გავაკეთებთ, მოდით, ნუ გავასწრებთ მოვლენებს. თუკი პრეზიდენტს არ სურს, რომ ხალხს გადააწყვეტინოს რიგგარეშე არჩევნების ამბავი, მაშინ ის მიიღებს ხალხის ნების ღიად გამოხატვას. ბოლო, თუ რა ფორმით მოხდება ეს, ამაზე უკვე 5 მარტის შემდეგ ვისაუბრებთ. აუცილებლად შევაგროვებთ ხელმოწერებს, მაგრამ ეს არ არის ხალხის ნების გამოხატვის ერთადერთი ფორმა.

**- ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში, აპირებთ თუ არა რეფერენდუმის დანიშვნისთვის პროცედურის დაწყებას?**

- ეს არც ერთ შემთხვევაში არ ითვალისწინებს იმ პროცედურულ რუტინაში შესვლას, რასაც დღეს ბევრი გვიკიჟინებს - თითქოს ეს არის ათთვიანი პროცესი და მას მოჰყვება დროის გაწელვა. ეს იქნება ხალხის ნების დემონსტრირება და, ბუნებრივია, ამის გათვალისწინებით სააკაშვილმა თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თუკი ხალხის ნების გაცნობის შემდეგაც მან ეს ნაბიჯი არ გადადგა, მაშინ ჩვენ მეტ-ნაკლებად კონსტრუქციული ურთიერთობების ყველა ფორმა და რესურსი ამოწურული გვექნება. ამიტომ ასევე კონსტიტუციის ფარგლებში გადავალთ მოქმედების სხვა ფორმებზე, ეს იქნება სხვა მასშტაბის და სხვა ფორმის პოლიტიკური ბრძოლა იმ ხერხების გამოყენებით, რაც პოლიტიკური ბრძოლის არსენალში არსებობს.

**- რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნას არ შეუერთდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები. ამასთან, ჯერჯერობით უცნობია, ალიანსი საქართველოსთვის შეუერთდება თუ არა 9 აპრილს დანიშნულ საპროტესტო აქციას. ეს ხომ არ გამოიწვევს ოპოზიციონერებს შორის დაპირისპირებას?**

- ჩვენ არ ვაკრიტიკებთ სხვის გზას, თუმცა მიგვაჩნია, რომ ალიანსის სამოქმედო გეგმა სწორი და გამართლებულია. მიუხედავად ამისა, ვამბობთ, რომ ყველა სხვა მეთოდი, იქნება ეს საპარლამენტო იმპიჩმენტი თუ რუსთაველზე აქციები, ჩვენი აზრით, შექმნის სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფრონტს. მალე გამოჩნდება, თუ ვისი გზა არის უფრო გამართლებული და ვინ უფრო ასწევს პოლიტიკურ ტემპერატურას. 9 აპრილამდე თვეზე მეტია დარჩენილი. მანამდე ჩვენ, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში ძალიან ბევრი ღონისძიების ჩატარებას ვაპირებთ და ალიანსი პასუხისმგებლობას აიღებს საკუთარ მოქმედებაზე. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია 9 აპრილის კომიტეტის გეგმების შესახებ, თუ რას აპირებენ 10-ში, 11-ში და ა.შ. აქედან გამომდინარე, ამ ნაწილში ნამდვილად ვერ ავიღებთ პასუხისმგებლობას. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვთანამშრომლობთ და ვითანამშრომლებთ სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან. ამის გამოხატულება იყო სტრატეგიულ საკითხზე - სააკაშვილის გადადგომაზე ჩვენი ხელმოწერა. გარდა ამისა, ცალკეულ ოპოზიციურ პარტიებთან თემატურ საკითხებზე ვითანამშრომლებთ. რაც შეეხება ჩვენს გადაწყვეტილებას, მივალთ თუ არა 9 აპრილის აქციაზე, ამას ერთი თვის განმავლობაში ჩვენი მოქმედების შედეგი გვიჩვენებს.

**- გავრცელებული ინფორმაციით, თავდაცვის ექს-მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი 9 აპრილამდე აპირებს საქართველოში ჩამოსვლას. რას იტყვით ამაზე და აპირებთ თუ არა მის პოლიტიკურ მოძრაობასთან თანამშრომლობას?**

- მართალი გითხრათ, მე ბუნდოვნად ვხედავ ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობას. ლოგიკურად უნდა ვიმსჯელოთ, რომ მას აეროპორტში დააკავებენ. თუ არ დააკავებენ, მაშინ რაღაც გაურკვევლობასთან გვექნება საქმე. ამ ხელისუფლების პირობებში ბევრი სიურპრიზია მოსალოდნელი და რას აპირებენ ესენი, ამის გაზომვა და აწონვაა საჭირო. თუმცა ერთს გეტყვით, რომ სასურველია, ყველა ადამიანი და, მით უმეტეს, პოლიტიკური დევნილი თავის ქვეყანას დაუბრუნდეს.

■■■

24 საათი ალიანსში შემავალ რესპუბლიკური პარტიის წევრ დავით ბერძენიშვილსაც დაუკავშირდა. მას არა აქვს იმედი, რომ პრეზიდენტი რეფერენდუმს დანიშნავს. შესაბამისად, ბერძენიშვილის თქმით, ალიანსი საქართველოსთვის პროტესტის სხვადასხვა ფორმების გამოყენებას აპირებს.

**- ბატონო დავით, რატომ გამოიწვია ოპოზიციურ სპექტრში უკმაყოფილება რეფერენდუმის იდეამ?**

- ალიანსი საქართველოსთვის არის მთავარი პოლიტიკური ალტერნატივა საქართველოში, ეს იცის სააკაშვილმა და ოპოზიციის ყველა წარმომადგენელმა. ქართულ საზოგადოებაში პესრონალურად ირაკლი ალასანიას მიმართ მოლოდინი გაცილებით დიდია, ვიდრე ნებისმიერი ოპოზიციონერის მიმართ. პოლიტიკური ძალების ერთობა ალასანია - ახლები - რესპუბლიკელები ორგანიზაციული კუთხითაც, რეიტინგითაც და იდეოლოგიურადაც გამართული და ერთადერთი რეალური ალტერნატივაა. ხელისუფლებასა და ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს შორის ინტერესთა თანხვედრა არსებობს, ამიტომ გაავებით გვებრძვიან. არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც დროს მისტირიან და ცდილობენ, ჩვენ გაგვიხსნან ცეცხლი. თუმცა, ოპოზიციონერების დიდი უმრავლესობა ჩვენი ალიანსის მიმართ კორექტულად იქცევა. ალიანსმა სააკაშვილს ჩაურთო წამმზომი და არა ვინმე სხვას. სააკაშვილი დანიშნავს რეფერენდუმს - წააგებს, არ დანიშნავს - წააგებს. თუ არ ეშინია, მაშინ დანიშნოს. თუმცა, 5 მარტის შემდეგ არავითარი რეფერენდუმის დანიშვნას ჩვენ არ მოვითხოვთ - სრულიად ბუნებრივია, რომ მივმართავთ ხალხს შეკითხვით, სურს თუ არა სააკაშვილის გადადგომა?

**- გარდა ხელმოწერების შეგროვებისა, რა გეგმები აქვს თქვენს პოლიტიკურ ალიანსს?**

- ვაპირებთ ხელმოწერების შეგროვებას, გავალთ რეგიონებში, იქნება დემონსტრაციები. ჩვენ თვენახევარი გულხელდაკრეფილი ჯდომას არ ვაპირებთ, ამიტომ ახლაც ვმუშაობთ და მალე გავიშლებით მთელ ქვეყანაში. 9 აპრილამდე და მას შემდეგაც იქნება გეგმაზომიერი, მასშტაბური მოქმედება სააკაშვილის ხელისუფლების დასაძლევად. ასე რომ, ჩვენ მოვიყვანთ 9 აპრილს საქართველოში.

# საქართველოს ეკონომიკა კრიზისს გაუძლებს

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ, არსებული ფინანსური კრიზისის პირობებში, ეფექტური ნაბიჯები გადადგა და ქვეყნის ეკონომიკა არ ჩამოიშალა. ეს განცხადება პრეზიდენტმა "ვაგონშემკეთებელი" ქარხნის კოლექტივთან შეხვედრისას გააკეთა.

მისი თქმით, ფინანსური კრიზისი უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში კიდევ უფრო დამძიმდება და ამიტომაც, უფრო ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება. სააკაშვილის აზრით, სამწუხაროა, რომ კრიზისმა ყველაზე დიდი დარტყმა საშუალო ფენას მიაყენა, რომლის ჩამოყალიბების პროცესიც საქართველოში უკვე იწყებოდა.

"დღეს მსოფლიოში არის უდიდესი ეკონომიკური კრიზისი. ჩვენი ეკონომიკის პატარა ნავი, რომელიც გავიდა დიდ ნაოსნობაში რამდენიმე წლის წინ, მრავალწლიანი ხმელეთზე ჯდომის შემდეგ იმ დიდ კრიზისში დაცული ვერ იქნება, სადაც დიდი გემები დიდ რყევებს განიცდიან და ზოგიერთი მათგანი უკვე იძირება. არის სერიოზული შეფერხებები საფინანსო ინსტიტუტების მუშაობაში, უძრავი ქონების ბაზარზე, ნაკლებად იყიდება ბინები და შემცირებულია ფასები და მწვავედ დგას უმუშევრობის საკითხი. საშუალო კლასს, რომელმაც ახლა დაიწყო ჩამოყალიბება საქართველოში და მისი საარსებო წყარო საბანკო კრედიტი იყო, ყველაზე მეტად დაარტყა საფინანსო კრიზისმა და ჩემთვის ეს ძალიან მტკივნეულია", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, ხელისუფლებამ მოახერხა და შეინარჩუნა როგორც სახელფასო სტაბილურობა, ისე საბანკო სისტემა.

"ამ პირობებში ჩვენი მთავრობის მთავარი საზრუნავი ეკონომიკაა. ჩვენ ვზრუნავთ იმაზე, თუ როგორ შევინარჩუნოთ სამუშაო ადგილები, როგორ შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები და როგორ მოვახერხოთ ქვეყნის დაცვა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ეს სიძნელეები დავძლიოთ, თუმცა მე ისიც მინდა გითხრათ, რომ ერთი ხელის მოსმით ამის გაკეთება შეუძლებელია. უფრო მეტსაც გეტყვით, შემდგომი ექვსი-ცხრა თვე ყველა ექსპერტის შეფასებით მსოფლიო მასშტაბით იქნება რთული. ამ პირობებში მიმაჩნია, რომ ჩვენ გვაქვს საკმარისი რესურსი, რომ საქართველოს ეკონომიკა გადარჩეს და საქართველო მსოფლიო ეკონომიკური შტორმის შემდეგ გაძლიერებული გამოვიდეს, მაგრამ ამისთვის აუცილებელია სტაბილურობა და ქვეყანაში სიმშვიდე. ჩვენი მთავრობის ამოცანაა, რომ ერთი მხრივ, ქვეყანაში იყოს სტაბილურობა და სიმშვიდე და ეს არავის დავარღვევინოთ და მეორე მხრივ, განვახორციელოთ ანტიკრიზისული გეგმა", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, დსთ-ს სივრცეში, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა: "უკრაინაში მიიღეს ნორმა, რომლის მიხედვითაც ექვსი თვის განმავლობაში ბანკიდან ფულს ვერ გაიტან. რუსეთში კი, ქრთამის სახით, ნასესხები ფულის ლამის ნახევარი უნდა დატოვო. ჩვენი ლარი მყარია მაშინ, როდესაც უკრაინაში ეროვნული ვალუტის დევალვაციაა, რუსეთში კი, ეს მაჩვენებელი ორმოც-ორმოცდაათ პროცენტს შეადგენს", - აცხადებს პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა ისიც, რომ სახელმწიფო უწყებებში კადრების შემცირება აღარ იქნება და ხელისუფლება ამ ხალხს შიმშილისთვის არ გაწირავს.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იმ პირობებში, როდესაც მსოფლიოში საინვესტიციო პროექტები შეჩერებულია, საქართველოს ხელისუფლება მაინც ახერხებს ინვესტიციების მოზიდვას.

"დღეს სამიტებზე სიარულის დრო არ არის. ყველა ქვეყნიდან, სადაც ჩავდივართ, ფულის ჩამოტანა უნდა მოვახერხოთ", - განაცხადა პრეზიდენტმა.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# რექტიორმა ბოსების ნდობა დაკარგა

პირველი გვერდიდან

პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინს რუსეთის ფინანსთა სამინისტროსთვის მიცემული აქვს დავალება, რომ დაფინანსების პრინციპებზე ოს კოლეგებთან ცალკე შეთანხმება გააფორმოს. გაზეთ კომერსანტის ცნობით, პარასკევს სწორედ ეს საკითხი უნდა განეხილა სამხრეთ ოსეთის რეაბილიტაციის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას, მაგრამ სხდომა მოსკოვსა და ცხინვალს შორის არსებული უთანხმოების გამო ჩაიშალა.

პრობლემას ქმნის ის, რომ მოსკოვმა, როგორც ჩანს, ჩეჩნეთის მწარე გამოცდილება გაითვალისწინა და კოკოითის რეჟიმისთვის გადასარიცხი თანხების გაკონტროლება მოისურვა. ამ მიზნით კრემლი აპირებს სპეციალური ფედერალური დირექციის შექმნას, რომლის ოფისიც მოსკოვში იქნება და რომელიც მთლიანად რუსი მოხელეებით დაკომპლექტდება. რუსეთის ხელისუფლების ვარაუდით, ფინანსური ნაკადებისგან ცხინვალის სრული ჩამოცილებით თანხების არამიზნობრივად ხარჯვა თავიდან იქნება აცილებული.

თუმცა, ეს სქემა ცხინვალის მარიონეტული რეჟიმისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

**საჭიროა შეცვლილი რეალიების გათვალისწინება. აგვისტოში რუსეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღიარებული სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და ამდენად ბუნებრივი იყო, რომ ფინანსური დახმარების სქემა მოსკოვმა შეიმუშავა. ახლა ჩვენ უკვე საერთაშორისო სამართლის აღიარებული სუბიექტები ვართ და ურთიერთობებიც სახელმწიფოთაშორისო დონეზე უნდა აიგოს. შესაბამისად, დაფინანსებაც სამხრეთ ოსეთის ფინანსთა სამინისტროს ხაზით უნდა ხდებოდეს,** - აცხადებს მარიონეტული მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ჰასან პლიევი.

ოსი მარიონეტების არგუმენტები მოსკოვისთვის გასაგებია, მაგრამ მიუღებელი.

**ფორმალურად, ეს არგუმენტები საკმაოდ ლოგიკურია: თუ ჩვენ ისინი დამოუკიდებელ ქვეყნად ვაღიარეთ, მაშინ დახმარების მექანიზმები სახელმწიფოთაშორისო რანგში უნდა ავიდეს. მაგრამ დიდია იმის ალბათობა, რომ რუსეთის მიერ გამოყოფილი ფული ჰაერში აორთქლდეს. ამიტომ მოსკოვს მისი გაკონტროლების ბუნებრივი სურვილი უჩნდება,** - პასუხობენ ოს მარიონეტებს რუსეთიდან.

მოსკოვსა და ცხინვალს შორის დავის გაჭიანურება დამოუკიდებელ ე.წ. სამხრეთ ოსეთს უკვე დაეტყო. კომერსანტს მოჰყავს იგივე პლიევის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ახალი წლის შემდეგ რესპუბლიკაში ხელფასი ჯერ არავის აუღია, მათ შორის - არც მთავრობის წევრებს.

როგორც ირკვევა, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან რიგითი ადამიანები. **ხალხი უმუშევარია, უკვე დიდი ხანია მაღაზიებში პურს კრედიტით იღებენ. რამდენიმე კვირაა მშვენიერი ამინდია, მაგრამ სამშენებლო სამუშაოები მაინც გაჩერებულია. არადა, პრეზიდენტი ამბობდა, რომ გამოდარებას ელოდებოდა. გაზაფხული მოვიდა, აქტიურობა კი კვლავ ნულის ტოლია. თუ უახლოეს მომავალში საკითხი არ გადაწყდება, ახალი ომი დაიწყება. გამოდის, რომ ჩვენი როლი უკვე შევასრულეთ და რუსეთს აღარ ვჭირდებით?** - გაღიზიანებას ვერ ფარავენ ცხინვალის მცხოვრებნი.

ამ ფონზე სულაც აღარ გამოიყურება სენსაციურად გუშინ გავრცელებული კიდევ ერთი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ცხინვალში რუსეთის საკონსულომ რუსული პასპორტების გაცემა შეაჩერა.

როგორც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვის კომიტეტი იუწყება, ეს გადაწყვეტილება პასპორტიზაციის პროცესის შესახებ ახალი დებულებების შემოღებას უკავშირდება.

**"სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესაბამისად, მოქმედებაში შევა ახალი კანონები და დებულებები, რომლებიც უცხოური სახელმწიფოს მიმართ იქნება გამოყენებული,"** - განმარტავს ცხინვალის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ალან პლიევი, რომელიც სხვადასხვა ჭორების აღსაკვეთად იქვე დასძენს, რომ **"სამხრეთ ოსეთში პასპორტიზაციის პროცესი მალე განახლდება, თუმცა ახალი რეალიების გათვალისწინებით."**

რუსეთის ხელისუფლებასა და მის მარიონეტულ რეჟიმს შორის ურთიერთობების გართულებაზე კომენტარები თბილისშიც კეთდება.

**სამხრეთ ოსეთის ვითომდა რეაბილიტაციის მიზნით თანხების გამოყოფის ირგვლივ სპეკულაცია მიმდინარეობს. სინამდვილეში, ეს თანხები არამიზნობრივად იხარჯება, ვინაიდან არც მოსკოვს და არც კოკოითის დე ფაქტო ხელისუფლებას რეგიონში მცხოვრები ადამიანების ბედი საერთოდ არ აინტერესებთ. ამ ხალხისთვის ღირსეული პირობების შექმნა მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის დაბრუნების შემდეგ იქნება შესაძლებელი,** - მიიჩნევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

თავის მხრივ, პოლიტოლოგი გია ნოდია 24 საათთან საუბარში აღნიშნავს, რომ უთანხმოება მოსკოვსა და ცხინვალს შორის მართლაც არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში იმდენად განსხვავებულ წონით კატეგორიებთან გვაქვს საქმე, რომ კოკოითის მარიონეტული რეჟიმი კრემლს სერიოზულად ნამდვილად ვერ დაუპირისპირდება.

**იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაპირისპირება მართლაც სერიოზულ ხასიათს მიიღებს, მოსკოვს გააჩნია ბერკეტები ადგილობრივი რეჟიმის ჭკუაზე მოსაყვანად. თუ ეს შეუძლებელი გახდება, მაშინ კოკოითი და მისი გუნდი სხვა ფიგურებით შეიცვლება,** - დასძენს გია ნოდია.

# ტალიავინის კომისია სოხუმში

## სეპარატისტებმა საერთაშორისო გამოძიებას გაყალბებული ფაქტები გადასცეს

დიმიტრი ავალიანი

*აგვისტოს ომის შემსწავლელი საერთაშორისო მისიის წევრები სოხუმის მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. აფხაზურმა მხარემ მისიას კონფლიქტის მიზეზებისა და ფაქტების თავისებური ინტერპრეტაცია წარუდგინა და რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნის აუცილებლობის შესახებ განაცხადა. თბილისში აღნიშნავენ, რომ აფხაზურმა მხარემ საერთაშორისო მისიას გაყალბებული ინფორმაცია მიაწოდა.*

ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისია, რომელსაც შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი ხელმძღვანელობს, გასული წლის 1 სექტემბერს გამართული ევროკავშირის საგანგებო სამიტის გადაწყვეტილებით შეიქმნა.

თავის საბოლოო ანგარიშს მისია 31 ივლისისთვის მოამზადებს. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მისი მუშაობის ვადა შეიძლება გაგრძელდეს.

გუშინ მისიის ხელმძღვანელი სოხუმში ადგილობრივი რეჟიმის ხელმძღვანელებს შეხვდა და მათ კომისიის ექსპერტები წარუდგინა.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშთან და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასთან ჰაიდი ტალიავინის შეხვედრებზე რუსეთ-საქართველოს ომის, აფხაზეთში ადამიანის უფლებების დაცვისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შეშვების შესახებ ისაუბრეს.

სერგეი ბაგაფშმა განაცხადა, რომ სოხუმი და ცხინვალი გასული წლის ტრაგიკული მოვლენების **"სამართლიანი და ობიექტური შეფასების"** მომხრენი არიან.

**"აფხაზეთის ხელმძღვანელობამ გაერო-ს წარმომადგენლები და ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიპლომატები არაერთხელ გააფრთხილა, რომ საქართველო ომისთვის ემზადებოდა. სოხუმმა ასევე არაერთხელ განაცხადა კოდორის ხეობის ზედა ნაწილიდან ქართული ჯარების გაყვანის აუცილებლობის შესახებ, ასევე იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი ამ ტერიტორიის გასათავისუფლებლად ემზადებოდა, რაც გააკეთა კიდეც,"** - განაცხადა ბაგაფშმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ აფხაზეთში რუსი სამხედროების ყოფნა უსაფრთხოების გარანტიას წარმოადგენს.

**"იმის გამო, რომ საქართველოს კვლავ აგრესიული განზრახვები აქვს, აფხაზეთმა რუსეთს აქ სამხედრო ძალის გაზრდა სთხოვა,"** - განაცხადა ბაგაფშმა და აშშ-სა და ევროკავშირს საქართველოსთვის სამხედრო დახმარების გაწევის გამო უსაყვედურა.

სოხუმის რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ჰაიდი ტალიავინის კონფლიქტის შესახებ აფხაზური მხარის ინფორმაცია მიაწოდა. **"ტალიავინის მივაწოდე ინფორმაცია როგორც უშუალოდ გასული წლის აგვისტოს მოვლენების, ისე წინაპირობების და შედეგების შესახებ. კომისია საბოლოო ანგარიშს აგვისტოსთვის მოამზადებს და ჩვენი ინფორმაცია ამ დოკუმენტის შესამუშავებლად აუცილებელია,"**- განუცხადა სააგენტო "ინტერპრესნიუსს" სერგეი შამბამ.

თავის მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აქიშბაია აცხადებს, რომ ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელს აფხაზურმა მხარემ გაყალბებული მასალები გადასცა.

**"აფხაზმა სეპარატისტებმა ჰაიდი ტალიავინის გაყალბებული და დამახინჯებული ფაქტები გადასცეს. თბილისში დაბრუნების შემდგომ მას პირადად შევხვდები და გავაცნობ იმ მოვლენებს, რაც გალის რაიონში რეალურად ხდება,"** - განაცხადა აქიშბაიამ.

გუშინ სოხუმში ტალიავინი ასევე თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას, უშიშროების საბჭოს მდივან სტანისლავ ლაკობას და თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბას შეხვდა.

დღეს ჰაიდი ტალიავინი გალის რაიონს ეწვევა, სადაც მოსახლეობას, არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება.

### საქართველოში პირველი საერთო სამაგისტრო გამოცდა ჩატარდება

სახელმწიფო სამაგისტრო პროგრამის დაფინანსებას იწყებს. განათლების სამინისტრო უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებებს შეიტანს და საერთო სამაგისტრო გამოცდები, ერთიანი ეროვნული გამოცდების პარალელურად, ივლისის თვეში ჩატარდება. გამოცდას გამოცდების ეროვნული ცენტრი ორი დღის განმავლობაში ჩაატარებს, შედეგების მიხედვით კი მაგისტრატებისთვის, ბაკალავრების მსგავსად, გაიცემა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი. გრანტის ოდენობა 1000-დან 2250 ლარამდე იქნება.

პრიორიტეტი ჰუმანიტარულ სპეციალობებს, განათლებას და პედაგოგიკას, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მიმართულებებს მიენიჭება და მთლიანი თანხის 50 პროცენტი სწორედ ამ სპეციალობებზე გადანაწილდება. რაც შეეხება დარჩენილ 50 პროცენტს, 10 პროცენტი გაიცემა საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე, ანუ რეიტინგული სიის მიხედვით უმაღლესი მაჩვენებლების მქონე მაგისტრანტებზე, ხოლო 40 პროცენტი თანაბრად გადანაწილდება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: ბიზნესი და ეკონომიკა, ჰუმანიტარული, სოციალური, სამართალი, საინჟინრო, განათლება და პედაგოგიკა, აგრარული, მათემატიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხელოვნება და ჯანდაცვა. პროგრამის საერთო ღირებულება 2,5 მლნ ლარი იქნება. როგორც განათლების და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, ამ თანხის მოძიება სამინისტროს შიდა ხარჯების მობილიზების გზით გახდა შესაძლებელი. საერთო ჯამში 1000-მდე სტუდენტი დაფინანსდება. მაგისტრატურაში ჩასარიცხად მაგისტრობის კანდიდატმა, გარდა საერთო სამაგისტრო გამოცდისა, სპეციალობის გამოცდაც უნდა ჩააბაროს. სპეციალობის გამოცდას განსაზღვრავს და ატარებს ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სწავლის გაგრძელება სურს მაგისტრობის კანდიდატს.

**24 საათი**

### ჟურნალისტიკის მიმართულება კვლავ ხელმძღვანელის გარეშეა

თსუ-ს ჟურნალისტიკის დეპარტამენტი ორ კვირაზე მეტია ხელმძღვანელის გარეშეა დარჩენილი. მისმა ყოფილმა ხელმძღვანელმა მარინე ვეკუამ განცხადება დაწერა გათავისუფლების შესახებ. ამჟამად ორგანიზაციულ საკითხებს მიმართულების უფროსი სპეციალისტი უძღვება. როგორც უნივერსიტეტში აცხადებენ, ჯერჯერობით უცნობია, ვინ გახდება მიმართულების ხელმძღვანელი. ამ დროისათვის ხელმძღვანელობის კანდიდატთა არც ერთი განაცხადი არ არის შემოსული. უნივერსიტეტის წესდების თანახმად, მიმართულების ხელმძღვანელი იმავე მიმართულების სრული პროფესორი უნდა გახდეს. 2008 წელს, რექტორის სპეციალური დადგენილებით, სრული პროფესორის სტატუსი მარინე ვეკუას მიენიჭა, იმის მიუხედავად, რომ საკონკურსო კომისიას რექტორის ეს გადაწყვეტილება არ გაუზიარებია. ამ დროისთვის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე არც ერთი სრული პროფესორი არ არის.

**24 საათი**

### თეირანში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის სამუშაო ვიზიტი დასრულდა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის სამუშაო ვიზიტს ირანში მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვი ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში სამინისტროს მრჩეველი მერაბ ჩაჩუა და საკონსულო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი პაატა პაპუაშვილი იყვნენ. ალექსანდრე ნალბანდოვი და საქართველოს დელეგაცია ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩეჰრ მოთაქიმ მიიღო. გაიმართა შეხვედრები მინისტრის პირველ მოადგილე ჰოსეინ შეიხოლესლამთან და ირანის ისლამური რესპუბლიკის მეჯლისის საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარე ალაედინ ბორუჯერდისთან. მოლაპარაკებებზე მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის არსებული ორმხრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების მდგომარეობა და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები. მხარეებმა აღნიშნეს აგრეთვე მრავალმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. ვიზიტისას გამართული პოლიტიკური კონსულტაციების ფარგლებში განხილულ იქნა საკონსულო სფეროში თანამშრომლობის საკითხები. შეხვედრებზე ასევე განიხილეს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისა და ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად შექმნილი ვითარება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეხვედრები და ორმხრივი კონსულტაციები მომავალშიც გაგრძელდება და რეგულარულ ხასიათს მიიღებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# თიბისი ფონდმა დევნილ ორსულ ქალბატონებს დედის დღე მიულოცა

სოფო ჩიხლაძე

თიბისი ფონდმა დედის დღე აგვისტოს მოვლენების შედეგად დევნილ ორსულ ქალბატონებს მიულოცა. ფონდი, რომლის მიზანია აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს დევნილი ბავშვების დასახმარებლად გრძელვადიანი პროექტების განხორციელება, თიბისი ბანკმა თითქმის 7 თვეა დააფუძნა და ამ ხნის მანძილზე თიბისი ფონდმა დაზარალებულ ადამიანებს არაერთი მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია.

3 მარტს თიბისი ბანკის პრეზიდენტმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ დევნილი მომავალი დედები დაასაჩუქრა და საზოგადოებას თიბისი ფონდის მუშაობის ანგარიში წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ აგვისტოს მოვლენების შედეგად დევნილი ორსული ქალბატონებისა და ახალშობილების გრძელვადიანი დახმარება თიბისი ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის ფარგლებშიც ფონდი ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას უწევს ორსულ ქალბატონებს. ეს დაფინანსება გრძელდება ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის მანძილზე. გარდა ამისა, ყოველ დაბადებულ ბავშვზე დამატებით გაიცემა ერთჯერადი თანხა, ახალშობილისთვის აუცილებელი ნივთების შესაძენად.

**მადლობა მინდა გადავუხადო თიბისი ფონდს და თიბისი ბანკს გაწეული დახმარებისთვის. ორსულობის პერიოდში ყოველთვიურად პლასტიკურ ბარათზე მერიცხებოდა 50 ლარი, ეს დახმარება ახლაც გრძელდება. ჩემი შვილი ერთი თვის არის, ამ თანხით ბავშვისთვის საჭირო ნივთებს ვყიდულობ... გარდა ამისა, მარიამის დაბადებისას თიბისი ბნკისგან 150 ლარიანი დახმარება მივიღე... ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელსაც თიბისი ბანკი დევნილი ბავშვებისთვის და ორსული ქალბატონებისთვის ახორციელებს** , - გვითხრა გორის რაიონის სოფელ ძარწემიდან დევნილმა ნინო გოგიძემ.

თიბისი ფონდის პროექტი დაახლოებით 2000-ზე მეტ დედას და ამდენივე ახალშობილის დახმარებას მოიცავს. დღეისათვის უკვე დაბადებულია 1300-მდე ახალშობილი, ხოლო უახლოეს 2 თვეში კიდევ 800-მდე ბავშვი დაიბადება. პროექტის ფარგლებში, თიბისი ფონდის მიერ, ამ ბავშვებისთვის საერთო ჯამში 2 მილიონ ლარამდე გაიცემა. თიბისი ფონდი 2008 წლის 13 აგვისტოს დააფუძნა თიბისი ბანკმა და ფონდში პირველი შენატანი, 5 მილიონი ლარის ოდენობით თავად ბანკამა გააკეთა. **ფონდის დაარსებიდან 3 თვის განმავლობაში, თიბისი ბანკს ასობით კომპანია და კერძო პირი შეუერთდა, რის შედეგადაც ფონდში მობილიზებულმა თანხამ 8 მილიონამდე ლარი შეადგინა. თიბისი ფონდის მსხვილი დონორები არიან: ბაგრატიონი 1882 , ელიზი ჯგუფი და სხვა პარტნიორი კომპანიები აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული რეგიონიდან ყველა ორსულისა და ახალშობილის დახმარება, თიბისი ფონდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია თიბისი ფონდის მეორე გრძელვადიანი პროექტი გახლავთ წეროვანის სკოლის მშენებლობა, რომლის ფართი დაახლოებით 6000 კვ მეტრი იქნება და 200 მოსწავლეს მიიღებს** , - აცხადებს თიბისი ბანკის პრეზიდენტი ვახტანგ ბუცხრიკიძე.

## სარეკორდო ვარდნა აშშ-ს ბირჟაზე

გუშინ, აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ძალზე მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი არადამაიმედებელმა მაკროეკონომიკურმა და კორპორატიულმა სიახლეებმა მოახდინა. კერძოდ, გავრცელდა ინფორმაცია სამშენებლო დანახარჯების შემცირების და მსოფლიოს უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის AIG-ის რთულ ვითარებაში აღმოჩენის შესახებ. ამასთან, ინვესტორები დააფრთხო ლეგენდარული უორენ ბაფეტის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ ამერიკის ეკონომიკაში ქაოსი კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება. საბოლოოდ, Dow Jones Index 4,24 პროცენტით, 6.763,29 პუნქტამდე შემცირდა. ეს 1997 წლის აპრილის შემდეგ დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. 3,99 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 1.322,85 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 4,66 პროცენტით, 700,82 პუნქტამდე მოიკლო.

# იაფი კრედიტის დასაფინანსებლად 20 მილიონი ლარი გამოიყოფა

## სესხის მაქსიმალური განაკვეთი 12 პროცენტი იქნება

ნინო ნატროშვილი

საქართველოს მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო პროგრამა იაფი კრედიტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. ინიციატივა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტებს ეკუთვნის.

იაფი კრედიტის განხორციელების შედეგები შეჯამდა, რის საფუძველზეც გარკვეული პრობლემები გამოიკვეთა. კერძოდ, რამდენიმე რეგიონმა პროგრამის ფარგლებში შედარებით მცირე დაფინანსება მიიღო. ამიტომაც, დეპუტატებს გაუჩნდათ იდეა, რომ პროგრამის განხორციელებისას ტერიტორიული და გეოგრაფიული პროპორციულობის პრინციპი დაცულიყო. მთავრობის სხდომაზე ახალი ინიციატივა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ მელიქიშვილმა წარადგინა. პარლამენტმა მთავრობას "იაფი კრედიტის" პროგრამის ფარგლებში პროექტებს შორის კონკურენციის არეალის შესამცირებლად რიგი წინადადებები შესთავაზა. ნიკა გილაურის თქმით, ინიციატივის მიზანია იაფი კრედიტის რეგიონებზე პროპორციულად და სამართლიანად გადანაწილება. კერძოდ, თითო პროექტისათვის 500 000, თითო თვითმმართველობის ორგანოსათვის 150 000, თითო მუნიციპალიტეტისათვის 60 000, ხოლო თითო თემისათვის 100 000 ლარი გამოიყოფა. მსხვილ პროექტებს კომერციული ბანკები განახორციელებენ, მცირე პროექტებს კი - თვითმმართველობები.

მთავრობის სხდომიდან გამოსულმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ მელიქიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ "იაფი კრედიტისთვის" სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 20 მილიონი ლარი ტერიტორიების მიხედვით გადანაწილდება და ამ თვალსაზრისით სამართლიანობის პრინციპი დაცული იქნება. "ნახევარ-ნახევარი მილიონი გამოიყოფა რეგიონებზე, ამავდროულად 150-150 ათას ლარს მიიღებენ დიდი თვითმმართველი ქალაქები, თბილისის გარდა. ამასათან, 60 ათასი ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტებისთვის, 10 ათასი ლარი კი თემების დონეზე გამოიყოფა. რაც შეეხება თანხების ადმინისტრირებას, მელიქიშვილის თქმით, მსხვილ პროექტებს ნახევარი მილიონის, 150 ათასი ლარისა და 60 ათასი ლარის ფარგლებში, სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული პირობების მიხედვით, კერძო ბანკები შეარჩევენ, ხოლო 10 ათას ლარიანი პროექტების შერჩევა ადგილობრივი თვითმართველობების მიერ განხორციელდება" -ამბობს მელიქიშვილი.

ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ამოსავალი წერტილი პროექტის განხორციელებისას ის იქნება, რომ იაფი სესხი ქვეყნის ათივე რეგიონს თანაბრად გადაუნაწილდეს და თითოეულმა არანაკლებ 500 000- 500 000 ლარის სესხი მიიღოს. მისივე თქმით, 64 საკრებულო კი 100 000-100 000 ლარს მიიღებს. სიახლეა ისიც, რომ თუკი გასულ წელს იაფ სესხს ის კომპანიები იღებდნენ, რომლებიც უკვე არსებული წარმოების გაფართოებას აპირებდნენ, წელს სათანადო თანხა შესაბამის ინდმეწარმეებსა თუ კომპანიებს როგორც ახალი წარმოების დასაწყებად, ისე უკვე არსებულის გასაფართოებლად გამოეყოფათ. "დაფინანსება ის მეწარმე, რომელსაც მომვალში წარმოების გასახსნელად შესაბამისი პროექტი უკვე შემუშავებული აქვს", - განაცხადა ჟვანიამ.

პროექტის განხორციელებაში კომერციული ბანკები ჩაერთვებიან. ლაშა ჟვანიას თქმით, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ის, რომ კომერციულმა ბანკებმა თავად განსაზღვრონ, თუ რომელი პროექტის დასაფინანსებლად უნდა გამოიყოს ესა თუ ის თანხა. კრედიტის პროცენტი კვლავაც დაბალია. მისი მაქსიმალური განაკვეთი 12 პროცენტს შეადგენს. იაფი კრედიტის დასაფინანსებლად წელს სახელმწიფო ბიუჯეტში 20 მილიონი ლარი არის გამოყოფილი, თუმცა ეს თანხა წლის ბოლომდე გაიზრდება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ტყეშელაშვილის განცხადებით, ეს არის ძალზედ საინტერესო ინციატივა, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი დასაქმების ადგილის შექმნა არა ერთ და ორ რეგიონში, არამედ ყველგან, სადაც ამის საშუალება არსებობს.

2009 წლის ბიუჯეტში "იაფი კრედიტისთვის გათვალისწინებულია 20 მლნ. ლარი, რომელიც მიმართული იქნება სოფლის მეურნეობის სექტორის, ხალხური რეწვისა და ტურიზმის განვითარებისთვის. პროგრამა "იაფი კრედიტი" ითვალისწინებს კერძო მეწარმეებისთვის შეღავათიან კრედიტს, კერძოდ, სესხები გაიცემა მაქსიმუმ 7 წლის ვადით, 12 პროცენტიანი განაკვეთით - საშეღავათო პერიოდი 2 წელი. ბენეფიციარ საწარმოებს მოეთხოვებათ სესხების უზრუნველყოფა, რომელიც უნდა იყოს სულ მცირე სესხის (ტრანშის) მოცულობის ტოლი. სახელმწიფო პროგრამა იაფი კრედიტის პროგრამის ფარგლებში 2008 წელს სულ დაფინანსდა 116 პროექტი, მათ შორის - 62 საწარმო. პროექტების საერთო ღირებულებამ 43,3 მილიონი ლარი შეადგინა. კრედიტები გაიცა საქართველოს ყველა რეგიონში. სახელმწიფო პროგრამა იაფი კრედიტის ფარგლებში პირდაპირ და არაპირდაპირ ბენეფიციართა რაოდენობამ დაახლოებით 35 000 ადამიანი შეადგინა.

Sida UNDP UNFPA COMBATING GENDER-BASED VIOLENCE IN THE SOUTH CAUCASUS

## გენდერული კვირეული IV

2009 წლის 1 მარტიდან 11 მარტის ჩათვლით საქართველოში უკვე მეოთხედ აღინიშნება გენდერული კვირეული, რომლის ფარგლებში გაიმართება შემდეგი ღონისძიებები:

- **თბილისი, 5 მარტი**
  საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრების სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულთა გამოვლენა და ოფიციალური დაჯილდოება.
- **გორი, 5 მარტი**
  გორის გენდერული თანასწორობის რესურს ცენტრში გაიმართება მრგვალი მაგიდა „გენდერული თანასწორობის რესურს ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის პერსპექტივები".
- **თბილისი, 6 მარტი**
  ქალისა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების გამოფენა. გამოფენის მსვლელობისას, პარალელურად გაიმართება ფოტო გამოფენა, ვიდეო ჩვენებები და მრგვალი მაგიდები.
- **თბილისი, 7 მარტი**
  საქართველოს მორბენალ ქალთა კლუბის მიერ ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი 6 კილომეტრიანი მარათონი კუს ტბაზე.
- **თბილისი, 10 მარტი**
  გაეროს ქალთა ფონდი წარმოგიდგენთ 2008/2009 წლების ანგარიშს მსოფლიოში ქალთა მდგომარეობის შესახებ „ვინ პასუხობს ქალებს? გენდერი და ანგარიშვალდებულება", პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება ფილმის ჩვენება.
- **თბილისი, 11 მარტი**
  გენდერული ბალანსის მქონე საუკეთესო ბიზნეს კომპანიების გამოვლენა და დაჯილდოება.

რიგით მეოთხე გენდერული კვირეულის ორგანიზატორები არიან გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი "გენდერი და პოლიტიკა" და გაეროს მოსახლეობის ფონდის "დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში" პროექტი. კვერეულის ღონისძიებების მხარდამჭერია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული საკითხების საკონსულტაციო საბჭო, გორის გენდერული თანასწორობის რესურს ცენტრი, ჯი-ეს-აის კვლევისა და სწავლების ინსტიტუტის "ქალთა ჯანმრთელობის პროგრამა საქართველოში" და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ღონისძიებების შესახებ დარეკეთ: 923662

# საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში იგორ გიორგაძეს დააპატიმრებენ

*ჯერჯერობით უცნობია, ჩამოვა თუ არა საქართველოში, მამის დაკრძალვაზე საქართველოს უშიშროების ყოფილი შეფი, ქართველი სამართალდამცველების მიერ ტერორიზმის ბრალდებით 1995 წლიდან ძებნილი იგორ გიორგაძე.*

საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში ქართველი სამართალდამცველები იგორ გორგაძეს დააპატიმრებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროს შოთა ხიზანიშვილის განცხადებით, იგორ გიორგაძის საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, მის მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომები განხორციელდება.

**"გიორგაძის საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, მის მიმართ კანონით გათვალისწინებული ყველა პროცედურა განხორციელდება,"** - განაცხადა შოთა ხიზანიშვილმა.

ჩამოვა თუ არა საქართველოში მამის დაკრძალვაზე საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი, ამის შესახებ ინფორმაცია არც პარტია "იმედის" ლიდერი და გიორგაძის თანამოაზრე ირინა სარიშვილს აქვს.

**"არ ვიცი, ჩამოვა თუ არა იგორ გიორგაძე საქართველოში. სამწუხაროდ, ეს ხელისუფლება არ გამოირჩევა ჰუმანურობით, რომ ის საკუთარი მამის დაკრძალვაზე ჩამოუშვას, თუმცა გიორგაძეს სამშობლოში დაბრუნების სურვილი ყოველთვის ჰქონდა,"** - აცხადებს ირინა სარიშვილი.

მისივე თქმით, იგორ გიორგაძის მამა, "კომუნისტური პარტიის" ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე გუშინწინ დილით, საკუთარ სახლში საუზმის დროს გარდაიცვალა. ის 83 წლის იყო. მისი გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, ინსულტი გახდა. პანტელეიმონ გიორგაძეს 7 მარტს დაკრძალავენ.

**საკუთარი ინფორმაცია**

# შესაძლოა, ევროსაბჭოდან რუსეთის გარიცხვის საკითხი დადგეს

*რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიერ ბოლო თვეების განმავლობაში გამოტანილი გადაწყვეტილებებით უკმაყოფილოა. საქმე ისაა, რომ ბოლო პერიოდში, სტრასბურგის სასამართლოს მიერ ერთმანეთის მიყოლებით გამოტანილი არაერთი გადაწყვეტილებით, რუსეთის ხელისუფლებას მოსარჩელეების სასარგებლოდ საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა დაეკისრა. საუბარია წლების წინანდელ გამოუძიებელ საქმეებზე. სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი განაცხადების ავტორები უმრავლეს შემთხვევაში ჩეჩნები არიან, რომლებმაც, თავის დროზე, რუსული მართლმსაჯულების თითქმის ყველა ინსტანციას მიმართეს, თუმცა სამართალი ვერ იპოვეს, ბოლოს კი იძულებული გახდნენ, განაცხადი სტრასბურგში გაეგზავნათ. რაც მთავარია, როგორც ირკვევა, რუსეთი არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა უმრავლესობას უყურადღებოდ ტოვებს. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის გამო, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში, ევროსაბჭოდან რუსეთის გარიცხვის საკითხი დადგეს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

**ევროსასამართლოს მიერ გამოტანილი ზოგიერთი კონკრეტული გადაწყვეტილება აბსოლუტურად გაუგებარია და საფუძველს იძლევა, ევროპელი მოსამართლეების ობიექტურობა ეჭვქვეშ დავაყენოთ,** - აცხადებს რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრი ალექსანდრე კონოვალიოვი. მისივე განმარტებით, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები იურიდიულ საფუძველს მოკლებულია.

თუმცა, რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრი იმასაც აცხადებს, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებში იკვეთება ის პრობლემები, რომლებიც რუსეთში სხვადასხვა პარამეტრით არსებობს. ალექსანდრე კონოვალიოვის თქმით, აუცილებელია ევროსასამართლოს მერ გამოტანილი გადაწყვეტილებების დეტალურად გადახედვა და შესწავლა.

ბოლო თვეების განმავლობაში ევროსასამართლომ წლების წინ შეტანილ რამდენიმე სკანდალურ სარჩელზე გამოიტანა გადაწყვეტილება.

რამდენიმე დღის წინ გამოტანილი გადაწყვეტილებით, რუსეთის ხელისუფლებას ყოფილი მოსამართლის ოლგა კუდეშკინას სასარგებლოდ 10 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა. ევროპელმა მოსამართლეებმა დაადგინეს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ყოფილ მოსამართლეს მისთვის კანონით მინიჭებული უფლება - სიტყვის თავისუფლება წაართვა.

საქმე ისაა, რომ ოლგა კუდეშკინას მოსამართლის მანტიასთან დამშვიდობება მის მიერ კრიტიკული განცხადებების გაკეთების გამო მოუწია. მოსამართლემ პრესის საშუალებით ის მაღალჩინოსნები გააკრიტიკა, რომლებსაც იურიდიულ საქმიანობათან ჰქონდათ კავშირი. ოლგა კუდეშკინა მოსამართლეობიდან 2004 წელს, სასამართლო სისტემის კრიტიკისთვის გაათავისუფლეს. სამსახურიდან გათავისუფლებულმა მოსამართლემ საკუთარი უფლებების დაცვა ჯერ რუსული მართლმსაჯულების ყველა ინსტანციაში სცადა, თუმცა ვერაფერს მიღწია. 2006 წელს კი სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში შეიტანა.

**ჩემი სამსახურიდან დათხოვნისას დაირღვა ევროკონვენციით გათვალისწინებული სამი მუხლი,** - ნათქვამი იყო ყოფილი მოსამართლის განაცხადში, რაც, მოგვიანებით, ევროპის ადამინის უფლებათა დაცვის სასამართლომაც დაადასტურა.

ასევე ცოტა ხნის წინ გამოტანილი გადაწყვეტილებით, სტრასბურგის სასამართლომ რუსეთის ხელისუფლებას 2002-2004 წლებში ჩეჩნეთში გაუჩინარებული ადამიანების ახლობლებლის სასარგებლოდ საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა დააკისრა - 176 744 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 17 ათასი ევრო მატერიალური ზარალის კომპენსაციისთვის და 19 744 ევრო სამართლიანი სასამართლოს არსებობის უფლების შეზღუდვისთვის.

როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ დაადგინა, გაუჩინარებული ჩეჩნები რუსმა სამხედრო მოსამსახურეებმა დააპატიმრეს. ასლანბეკ ასტამიროვი 2002 წლის 5 აგვისტოს გაუჩინარდა, ხოლო ალია საგაევი და მისი ნათესავი იუნად საგაევი 2002 წლის 13 სექტემბერს დაიკარგნენ. როგორც გაირკვა, ისინი შეიარაღებულმა რუსმა სამხედროებმა საკუთარი საცხოვრებელი სახლებიდან გაიტაცეს. რაც შეეხება მესამე შემთხვევას - ალისა ზუბირაევა 2004 წლის 21 დეკემბერს გაუჩინარდა. როგორც რუსეთის ხელისუფლება აცხადებდა, სწორედ ამ დღეს ჩატარდა სპეციალური ოპერაცია, თუმცა, დაკავებულთა შორის ალისა ზუბირაევა არ იმყოფებოდა. არადა, უგზო-უკვლოდ დაკარგულის მეზობლის მტკიცებით, ის, რუსმა შეიარაღებულმა სამხედროებმა ოპერაციის დროს დააკავეს და სამხედრო ავტომანქანაში მოათავსეს.

როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, ამ შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლებამ ევროკონვენციის არაერთი მუხლი დაარღვია. საუბარია არაადამიანურ მოპყრობაზე, თავისუფლებისა და სიცოცხლის უფლების წართმევაზე და ასევე ეფექტური დაცვის უფლების შეზღუდვაზე.

ცოტა ხნის წინ, სტრასბურგის სასამართლომ რუსეთის ხელისუფლება დამნაშავედ ცნო მეცხრეკლასელი ჩეჩენი გოგონას მარვანა იდანოვას გატაცებასა და გაუჩინარებაშიც.

როგორც საქმის მასალებით გაირკვა, 2002 წლის 22 ნოემბერს, ნიღბიანი რუსი სამხედროები იდალოვების საცხოვრებელ სახლში შეიჭრნენ, ოჯახის უფროსი წევრები გათოკეს და სკამებზე მიაბეს, ოჯახის უმცროს წევრს თავზე ტომარა ჩამოაცვეს და იქვე, ახლოს მდებარე სამხედრო ბაზის მიმართულებით წაიყვანეს. მას შემდეგ, გატაცებული ბავშვი აღარავის უნახავს.

უგზო-უკვლოდ დაკარგული ჩეჩენი მოზარდის მშოლების სარჩელი ევროპის ადამინის უფლებათა დაცვის სასამართლომ დააკმაყოფილა და რუსეთის ხელისუფლებას მათ სასარგებლოდ 300 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

სტრასბურგის სასამართლოში დაზარალებული ჩეჩნების მიერ გაგაზავნილი სარჩელების განხილვისას, მოპასუხე მხარე ირწმუნებოდა, რომ ჩეჩნების გატაცება-გაუჩინარებასთან რუს სამხედროებს არანაირი კავშირი არ ჰქონიათ და ამ დანაშაულებში თავად ჩეჩენი ბოევიკების ხელი ერია, რაც ევროპელი მოსამართლეებისთვის არადამაჯერებელი აღმოჩნდა.

დაზარალებული ჩეჩნების მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში გაგზავნილი უამრავი განაცხადი ჯერ კიდევ განუხილველია. მათ განხილვას ევროპელი მოსამართლეები უახლოეს პერიოდში დაიწყებენ. სავარაუდოდ, ამ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებებიც რუსეთის ხელისუფლებისთვის არასასურველი იქნება.

ცოტა ხნის წინ, სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლითაც რუსეთის ხელისუფლება ინგუშეთში მცხოვრები სალამბეკ ხადისოვისა და ისლამ ჩეჩოევის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მათ მიმართ უხეშად დაირღვა ევროკონვენციით გათვალისწინებული რამდენიმე მუხლი.

რაც მთავარია, ევროპელმა მოსამართლეებმა დადგინეს ისიც, რომ სალამბეკ ხადისოვს და ისლამ ჩეჩოევს რუსი სამხედროები აიძულებდნენ, არაფერი ეთქვათ მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ.

**რუსმა სამართალდამცველებმა საკუთარი უფლებამოსილება არ განახორციელეს და არაფერი გააკეთეს საქმის ეფექტურად გამოძიებისთვის,** - ასეთია ევროპელი მოსამართლეების დასკვნა.

## 200 ლარი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩასაბარებლად

აღმასრულებლის თანამდებობის დაკავების მსურველმა, საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასასვლელედ, წინასწარ 200 ლარი უნდა გადაიხადოს.

პარლამენტმა მესამე მოსმენით უკვე დაამტკიცა დამატება კანონპროექტში სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ . აღნიშნულ კანონს დაემატა მუხლი, რომელიც საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მისაღებად პირს ავალდებულებს 200 ლარის გადახდას.

როგორც პარლამენტის იურიდიულ დეპარტამენტში 24 საათს განუმარტეს, მანმადე გამოცდაში მონაწილეობისათვის საფასური არ იყო გათვალისწინებული. ცვლილების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებისთანავე შევა ძალაში, ეს ნორმა მხოლოდ 2009 წლის 1 ივლისამდე იქნება სავალდებულო.

კანონპროექტის ინიციატორი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მურთაზ ზოდელავაა.

**24 საათი**

## მკვლელობა შილდაში

ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში მკვლელობა მოხდა. გამოძიებით ამ დრომდე დაუდგენელმა პირებმა, სოფელში მდებარე ტბის დარაჯი 67 წლის გივი მარკოზაშვილი ჯერ ხეზე დააბეს, შემდეგ სასტიკად სცემეს და მოკლეს.

ერთ-ერთი ვერსიით, დარაჯმა უცნობებს ტბაზე თევზაობის უფლება არ მისცა, რამაც მათ შორის დაპირისპირება გამოიწვია.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 108 მუხლით (განზრახ მკვლელობა). გამოძიებას შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართული სოფლებიდან ნაძარცვი რუსეთში გაჰქონდათ

რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების ჩრდილოეთ კავკასიის სამმართველოს პრესსამსახურის უფროსის ალექსანდრ სოლოდის ინფორმაციით, გამშვებ პუნქტ ქვემო ზამარაგთან დააკავეს რუსეთის მოქალაქე, რომელსაც ცხინვალიდან რუსეთში უკანონოდ ოქროს ნაკეთობები გადაჰქონდა. კერძოდ, დაკავებულ ქალბატონს ოქროს 26 ნაკეთობა გადაჰქონდა. გავრცელებული ინფორმაციით, ოქროს ნაკეთობები რუსმა და ოსმა მოროდიორებმა 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლებიდან გამოზიდეს.

**მედიანიუსი**

## ქართულ მხარეს ოსების გატაცებაში ადანაშაულებენ

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერის ედუარდ კოკოითის წარმომადგენელი ბორის ჩოჩიევი, ქართულ მხარეს ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ადამიანების უკანონო დაპატიმრებაში ადანაშაულებს და მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს. როგორც ჩოჩიევი ამტკიცებს, ქართველებს 15 ოსი უკანონოდ ჰყავთ დაპატიმრებული.

"ქართველების მიერ დაკავებულ ჩვენს მოქალაქებს იარაღის უკანონოდ ტარებაში ედებათ ბრალი, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ამ ადამიანების გათავისუფლების საკითხი ყველა საერთაშორისო მოლაპარაკებებზე უნდა იყოს განხილული," - აცხადებს ოკუპირებული ცხინვალის მარიონეტული მთავრობის წარმომადგენელი.

**მედიანიუსი**

## ქართველი ტყვეების სასამართლო პროცესი გადაიდო

ცხინვალის მარიონეტული მთავრობის მიერ მძევლად აყვანილი დავით კაპანაძე და დემურ ჭიღლაძე დღემდე ცხინვალის იზოლატორში არიან. რუსული მედიის ცნობით, ქართველი ტყვეებისთვის წინასწარი პატიმრობა გუშინწინ უნდა შეეფარდებინათ, თუმცა სასამართლო რამდენიმე დღით გადაიდო.

ცხინვალის მარიონეტული მთავრობა ქართველ ტყვეებს ბრალად ცხინვალის ადმინისტრაციული საზღვრის დარღვევას და იარაღის უკანონო გადატანის ბრალდებას უყენებს.

კაპანაძე და ჭიღლაძე ოსმა კრიმინალებმა 27 თებერვლის საღამოს ქარელის რაიონის სოფელ ჭვინიშთან ახლოს გაიტაცეს. გამტაცებლები მათი გათავისუფლების სანაცვლოდ გამოსასყიდის სახით 6 ათას ევროს ითხოვდნენ. ევროკავშირის დამკვირვებლების ჩარევის შემდეგ, ცხინვალის ე.წ სამართალდამცველებმა ჭიღლაძე და კაპანაძე ოსი კრიმინალებისგან გაათავისუფლეს" და ევროპელი დამკვირვებლების თვალში სეპარატისტების დანაშაულის დასაფარად, გატაცებულები საზღვრის უკანონო გადაკვეთასა და იარაღის გადატანაში დაადანაშაულეს.

**მედიანიუსი**

IWPR
institute for war & peace reporting
საქართველოს რეგიონულ ჟურნალისტთა ქსელი
Georgia Regional Media Network

# ქვემო ქართლის მედია კრიზისის ქვემოთ

*ფინანსურმა კრიზისმა რეგიონში უკვე რამდენიმე მედიასაშუალება იმსხვერპლა.*

მარი ქორიძე,
რუსთავი,
ბოლნისი

ქვემო ქართლის მედია-ორგანიზაციების უმრავლესობამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საკუთარ თავზე უკვე იწვნია. გაჩერებულია პირველი და რეგიონში ერთადერთი დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო ,,რეგინფო".

საინფორმაციო სააგენტო არასამთავრობო ორგანიზაცია ,,სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (CIDA)" ბაზაზე, დაახლოებით 2 წლის წინ, რუსთავში შეიქმნა.

,,რეგინფოს" ქვემო ქართლის ყველა რაიონში ჰყავდა კორესპონდენტი. სააგენტოს მიერ მომზადებული პროდუქციის მომხმარებელი კი, ძირითადად, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, საელჩოები და სხვადასხვა მედია საშუალებები იყვნენ.

,,რეგინფოს" ბედი არ გაუზიარებია, თუმცა პერიოდულობა შეამცირა, რეგიონში პირველმა დამოუკიდებელმა ბეჭდურმა ორგანიზაციამ ,,ტაიმერი", რომელიც გაზეთს ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოცემს. გაზეთიც 2006 წლის აგვისტოში ,,CIDA ,,-ს ბაზაზე შეიქმნა. მისი მთავარი დონორი დღეს ბრიტანული მედია ორგანიზაცია ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი - iwpr –ია.

2009 წლის იანვრიდან ,,ტაიმერი" თვეში 2-ჯერ გამოსვლის ნაცვლად, თვეში ერთხელ გამოვა. გაზეთის რედაქტრი ნინო ხარაძე ამბობს რომ, ,,ტაიმერი" გაყიდვაზე ორიენტირებული არც ეკონომიკურ კრიზისამდე ყოფილა, თუმცა სურათი რადიკალურად შეიცვალა და გაზეთი დახურვის საფრთხის წინაშე ნამდვილად დადგა.

,,შემცირებულია გაზეთის პერიოდულობა, რაც პირველ რიგში სწორედ საქართველოში არსებული პოსტ-კონფლიქტური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოხდა. დახურვის საფრთხის წინაშე კი, იმის გამო დავდექით რომ, დონორის მიერ მოწოდებული თანხის გარდა, სხვა შემოსავალი არ არის. აქამდე გაყიდვების გარკვეული რაოდენობა არსებობდა, რაც თავდაპირველი პერიოდულობის შენარჩუნებას უწყობდა ხელს",- ამბობს ,,ტაიმერის" რედაქტორი ნინო ხარაძე და გამოსავალს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსურ დახმარებაში ხედავს. ,,ტაიმერი" კი, შემცირებული პერიოდულობით გამოსვლას 2009 წლის ივლისამდე გააგრძელებს.

ქვემო ქართლში გაზეთის მკითხველთა რაოდენობა ტელევიზიის მაყურებელთა რიცხვზე ბევრად მცირეა. ,,მარნეული tv"-ს დღეში ოც საათიან მაუწყებლობას რაიონის ასი ათასიანი აუდიტორია ადევნებს თვალყურს.

ტელევიზიის დირექტორის შალვა შუბლაძის განმარტებით, ფინანსური კრიზისის გამო, მედიაორგანიზაციამ 2008 წელი ,,ვალებით დახურა", რის გამოც ტელევიზიის 13 თანამშრომელი დეკემბერში ხელფასის გარეშე დარჩა. რაც შეეხება სატელევიზიო ბადეს, რამდენიმე გადაცემამ არსებობა შეწყვიტა. საინფორმაციო სამსახური კი, რომელიც ეთერში ქართულ და აზრბაიჯანულ ენებზე დღეს ყოველდღიურად გადის, მარტიდან შესაძლოა კვირაში ერთი საინფორმაციო გამოშვებით შემოიფარგლოს და ისიც მხოლოდ ქართულ ენაზე.

,,ჯერ კიდევ აგვისტოს ომის შემდეგ, განვიცადეთ გარკვეული კრიზისი. ჰაკერების მიერ გატეხილი საიტის გამო, შეწყდა sms -შოუ, თითქმის 90%-ით შემცირდა სარეკლამო დაკვეთები, აღარ გვაქვს რეკლამები. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სატეევიზიო პროექტის - აზერბაიჯანულენოვანი საინფორმაციო გამოშვების არსებობა, რომელსაც ნაწილობრივ ეუთოს მისია აფინანსებდა. 2009 წლის 1 მარტიდან, იყო პირობა რომ, პროექტი ეუთოს სრულად უნდა დაეფინანსებინა. დაგეგმილია ეუთოს კომისართან შეხვედრა, თუ დაფინანსებას ვერ მივიღებთ, მაშინ ტელევიზია მაუწყებლობის სხვა ფორმატზე გადავა", - ამბობს ,,მარნეული tv"-ს დირექტორი შალვა შუბლაძე.

მსგავსი მდგომარეობაა მარნეულის სათემო რადიოში, რომელმაც საინფორმაციო გამოშვებათა რაოდენობა კვირაში ოთხის ნაცვლად ერთ გადაცემამდე დაიყვანა. რადიო ,,მარნეულის" დირექტორი კამილა მამედოვა ამბობს, რომ გადაცემების გარდა, თანამშრომელთა რაოდენობის შემცირებაც მოუწია: ათის ნაცვლად, რადიოს შვიდი თანამშრომელი შემორჩა.

დღემდე ლიცენზიის მოლოდინში მყოფი რადიო ,,მარნეული", დღეში 2 საათით, მოსახლეობამდე ხმას იმ დინამიკების მეშვეობით აწვდენს, რომლებიც ქალაქის ცენტრში, ახლაგაზრდობის პარკში და ჩაიხანაშია დამონტაჟებლი.

,,ჩვენ გრანტებზე და საერთაშორისო ორგანიზაციებზე ვართ დამოკიდებული. მოქმედი პროექტები უკვე დასრულდა, ახალი პროექტები კი არ ჩანს, რომ განაცხადი შევიტანოთ", - აცხადებს რადიო ,,მარნეულის" დირექტორი კამილა მამედოვა.

თანამშრომელთა რაოდენობა არ შემცირებულა ბოლნისში მოქმედ ტელე-რადიო კომპანიაში ,,XII არხი", თუმცა აგვისტოს ომის შემდეგ აქ 90%-ით იკლო რეკლამის დამკვეთთა რაოდენობამ.

ტელე-რადიო კომპანია ,,XII არხი" 1997 წლიდან ბოლნისში, თეთრწყაროსა და მარნეულის რაიონების მასშტაბით, 200 ათასიან აუდიტორიაზე მაუწყებლობს. საინფორმაციო გადაცემა ,,ტელე-დაიჯესტს" კვირაში ერთხელ ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე ტელევიზიის 15 კაციანი ჯგუფი ამზადებს. ტელევიზიის დირექტორი ოლეგ უგრეხელიძე ამბობს რომ, მედია საშუალების ძირითადი შემოსავალი რეკლამა და სახელმწიფო პროექტებია, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება უკვეთავს.

,,არავინ თქვას რომ რეგიონული მედია თავისუფალი და განვითარებულია, დაფინანსების გარეშე აქ შეუძლებელია განვითარდეს ნებისმიერი საინფორამციო საშუალება, მით უფრო ტელევიზია. რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციამ, სადაც 13 რეგიონული ტელევიზიაა გაერთიანებული, პარლამენტს გადასახადების მოხსნის თხოვნით მიმართა. ეს კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი გზაა", - აცხადებს ,,XII არხის" დირექტორი ოლეგ უგრეხელიძე.

# სიღარიბის ზღვარზე

*ფინანსური პრობლემების გამო, იმერეთის რეგიონული მაუწყებლები, შესაძლოა, საინფორმაციო სამსახურის გარეშე დარჩნენ.*

თეა ზიბზიბაძე,
ქუთაისი

გლობალური ფინანსური კრიზისი ქუთაისში არსებულ მედია ორგანიზაციების მგდომარეობაზეც აისახა. მედია მფლობელები რეკლამის სიმწირეს უჩივიან.

,,ახალი ამბების პროგრამას შევინარჩუნებთ თუ არა, არ ვიცით. სამი თვე საინფორმაციო გამოშვების გაჩერება მოგვიწია, რადგან ხელფასების გაცემის პრობლემა გვქონდა. დღეს რეკლამები, ასე თუ ისე, მცირე რაოდენობით არის, მაგრამ როგორც კი ამ ორგანიზაციებს გაყიდვები შეუმცირდებათ, მათი ეკონომიკური მდგომარეობა ჩვენზეც აისახება", - ამბობს ტელეკომპანია ,,მეგა tv"-ის საინფრომაციო სამსახურის უფროსი ნანა თოშხუა.

მძიმე ფინანსური კრიზისია ტელეკომპანია ,,რიონშიც", რომელიც იმერეთზე. ,,მეგა tv" -ის მსგავსად ქუთაისიდან მაუწყებლობს. ტელეკომპანიის ხელმძღვენელი თამილა ღვინიანიძე აცხადებს, რომ ახალი წლის შემდეგ სარეკლამო ბაზარი ნულზე დავიდა.

,,ჩვენს ტელეკომპანიაში რეკლამა 99%-ით არის შემცირებული. დღეს ერთადერთი ფასიანი რეკლამა გვაქვს - მობილური ოპერატორის სახალისო გათამაშება, დანარჩენი რაც ეთერში გადის ბარტერია," - ამბობს ღვინიანიძე.

ტელეკომპანიაში აცხადებენ, რომ ფინანსური კრიზისი ტელეპროგრამებზეც აისახა. ,,რიონში" არ მალავენ, რომ საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტების რაოდენობამ მოიკლო და გადაცემა დროში შემცირდა

,,თუ ადრე ჩვეულებრივი საინფორმაციო გამოშვების ქრონომეტრაჟი 20 წუთზე ნაკლები არ იყო ახლა 10 წუთიანი გახდა, 40 წუთიანი მთავარი გამოშვება კი ახლა მხოლოდ 20-25 წუთი გრძელდება", - ამბობს ტელეკომპანიის ხელმძღვანელი.

მძიმე ფინანსურ კრიზისის გამო ,,რიონში" ერთი თვე თანამშრომლებს მუშაობა ანაზღაურების გარეშე მოუწევთ. თამილა ღვინიანიძე ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება კადრების შემცირების თავიდან ასაცილებლად მიიღო.

,,თვის ბოლომდე ასე გაგრძელდება, შემდეგ ვნახოთ, როგორი იქნება სარეკლამო ბაზარი," - განმარტავს დირექტორი

მანამდე კი ,,რიონმა" სარეკლამო ტარიფი 60%-ით გააიაფა.

,,ჩვენ ვაძლევთ ბიზნესმენებს საშუალებას გადაირჩინონ თავი და გადაგვარჩინონ ჩვენც", - აცხადებს თამილა ღვინიანიძე.

ჯერჯერობით სტაბილურ ფინანსურ მგომარეობას ინარჩუნებენ რადიო ,,ძველ ქალაქში", რასაც გრძელვადიანი სარეკლამო ხელშეკრულებების არსებობით ხსნიან. თუმცა აცხადებენ, რომ ახალი რეკლამები იმ რაოდენობით აღარ არის, როგორც ადრე იყო. ,,ძველმა ქალაქმა" რამდენიმე ბანკისგან ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი მიიღო.

ახალი სარეკლამო ხელშეკრულების გაფორმებაზე მთელმა რიგმა ბიზნეს ორგანიზაციებმა და ბანკებმა უარი პრესასაც უთხრეს. რეგიონულ გაზეთებში აცხადებენ, რომ იკლო ხელმომწერთა რიცხვმაც.

,,2007-2008 წლების პერიოდში ,,ახალმა გაზეთმა" შეძლო გრძელვადიან სარეკლამო შესყიდვებზე კონტრაქტების გაფორმება ორ მსხვილ ბანკთან. 2009 წელს უნდა გაგვეახლებინა კონტრაქტები, მაგრამ, სამწუხაროდ ერთ-ერთმა ველარ, თუ აღარ ისურვა ამ კონტრაქტის გაგრძელბა. მხოლოდ ის განგვიმარტეს, რომ მათ სხვადასხვა ხარჯების შემცირება და ოპტიმიზაცია მოუხდათ. რაც შეეხება მეორე ბანკთან თანამშრომლობას, ჯერ კიდევ მოლაპარაკების პროცესში ვართ და იმედს ვიტოვებთ, რომ ეს კონტრაქტი მაინც ძალაში დარჩება," - ამბობს ,,ახალი გაზეთის" მთავარი რედაქტორი ია ბობოხიძე.

ქუთაისში მოქმედ მედიორგანიზაციებში, ასევე, აცხადებენ, რომ ჯერჯერობით არანაირი წინსვლა არ არის მცირე ბიზნესთან ურთიერთობის მხრივ.

,,ეს მდგოამრეობა საბოლოო ჯამში ასახვას პოვებს გაზეთის მთლიან შემოსავლებზე. თუკი ჩვენ ვსაუბრობდით გაზეთის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივებზე, გვქონდა ჩამოყალიბებული ბიზნეს გეგმა მინიმუმ 4 წლიანი ხედვით და იანვარში ვიცოდით რა ღონისძიებებს ვგეგმავდით სექტემბრის თვეში, ახლა ამ პროგნოზების გაკეთება უბრალოდ წარმოუდგენელია", - ამბობს ია ბობოხიძე.

# ქვეყნის ღალატის ბრალდებით

*ახალციხეში მცხოვრები ორი ეთნიკური სომეხის დაკავება რეგიონში ახალი ვნებათაღელვის მიზეზად იქცა.*

თამუნა უჩიძე,
ახალციხე

„ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის" უფროსი გრიგოლ მინასიანი და „შარლ აზნაურის საზოგადოების" თავმჯდომარე სარქის აკოფჯანიანი უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის, მომზადებისა და ჯაშუშობის ბრალდებით ექვმიტანილის სახით დააკავეს. საქმეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი იძიებს, სადაც საკითხთან დაკავშირებით კომენტარისაგან თავს იკავებენ.

მიუხედავად იმისა, რომ დაკავების საგანგებო სპეცოპერაცია 22 იანვარს განხორციელდა. დღემდე ფართო საზოგადოებისთვის საქმის დეტალები ცნობილი არ არის. სხვა დროს ამგვარი ფაქტების მიმართ ნაციონალური მედიის განსაკუთრებული ინტერესის მიუხედავად, აკოფჯიანისა და მინასიანის დაკავება ქართული მედიის ძირითად ნაწილს არ გაუშუქებია.

ექვმიტანილთა ოჯახის წევრები ყვებიან, რომ გრიშა მინასიანი ახალქალაქიდან ახალციხისკენ მომავალ სამარშრუტო ტაქსში ასპინძასთან, სარქის აკოფჯანიანი კი სასაფლაოზე, ახლობლის დაკრძალვაზე ყოფნისას ,დააკავეს. პარალელურად მიმდინარეობდა ექვმიტანილთა სახლებისა და „ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის" ჩხრეკა.

„მთელი სახლი გადაქექეს, კომპიუტერი, ერთი ცარიელი სანადირო ტყვია და ცარიელი „დისკი" წაიღეს. არაფერი გვითხრეს, არ ვიცი რისთვის დააკავეს, რა ბრალდება წაუყენეს, სად ჰყავთ", - ამბობს გრიგოლ მინასიანის მეუღლე ევგენია მინასიანი.

„რვა კაცი შემოვარდა, არაფერი გვითხრეს, ყველაფერი გაჩხრიკეს, რაღაც სამი ქაღალდი აიღეს და წავიდნენ", - იხსენებს სარქის აკოფჯანიანის მეუღლე სუსანა სტამბოლციანი.

„ჩაკეტეს კარები, გაგვათიშინეს ტელეფონები, როგორც ჩვენ ასევე მოსწავლეებსაც. გვთხოვეს, რომ ერთ ოთახში შევკრებილიყავით", - ყვება „ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის" ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვერონიკა ამბარიანი. მისი თქმით, შეიარაღებულმა პირებმა დისკები, კომპიუტერების ვინჩესტერები და ჟურნალ-გაზეთები წაიღეს.

მასშტაბური სპეციპერაცია, ქართული მედიისგან განსხვავებით, დღემდე რჩება სომხური მედიისთვის აქტუალურ თემად, სადაც აკოფჯიანისა და მინასიანის დაკავება ძირითადად სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხების დაშინების მცდელობის კონტექსტში განიხილება.

ამგვარ შეფასებას არ ეთანხმებიან საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში, რომელიც აკოფჯიანისა და მინასიანის საქმის შესწავლით სომხეთის სახალხო დამცველის თხოვნის შემდეგ დაკავდა.

„ეთნიკური ნიშნით დევნას ადგილი ნამდვილად არ აქვს. საქმე შესწავლის პროცესში გვაქვს და კონკრეტულ კომენტარებს მოგვიანებით გავაკეთებთ, თუმცა ის, რომ დაკავებულები გამოძიებასთან თანამშრომელობენ, ფაქტია. დაკავებულები არაერთგზის მოვინახულეთ და იმის თქმაც შემიძლია, რომ აკოფჯიანისა და მინასიანის მიმართ რაიმე სახის ზეწოლას ადგილი არ ქონია", - აცხადებს სახალხო დამცველის ოფისში არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი.

დაკავებულთა მიერ გამოძიებასთან თანამშრომელობის ფაქტს ადასტურებს აკოფჯიანისა და მინასიანის ადვოკატიც. IWPR-თან საუბარში ნინო ადრიაშილი აცხადებს, რომ დაკავებულებმა ჯაშუშობის ბრალი აღიარეს, თუმცა უკანონო შეიაღალებული ფორმირების შექმნის მცდელობას კატეგორიულად უარყოფენ. მიუხედავდ იმისა, რომ გამოძიება უკანონო ფორმირების შექმნის შესახებ აკოფჯიანისა და მინასიანის საუბრის ფარულ ჩანაწერს ფლობს, ადვოკატის განმარტებით დაკავებულები ამგვარ საუბარს „არასერიოზულ ხუმრობას" უწოდებენ.

მომხდარს ვერ იჯერებენ ექვმიტანილთა მეზობლები.

„ბებია ქართველი ჰყავდა. ვერ წარმომიდგენია, რომ ეგ ბიჭი ქვეყნის ღალატისთვის დააკავეს. გრიშა ქართველების წინააღმდეგ იარაღს გამოიყენებდა?! წარმოუდგენელია!" - შეშფოთებულია მინასიანების მეზობელი მარინა მაისურაძე.

გრიგოლ მინასიანი 1975 წელს, ქალაქ ახალციხეში დაიბადა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალში ჟურნალისტიკის სპეციალობა დაამთავრა. შემდეგ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კომუნაში ქართულს ასწავლიდა. 2002 წელს მამა გარდაეცვალა, ოჯახის რჩენის მიზნით, სამუშაოდ რუსეთში წავიდა, სადაც ერთი წელი დაჰყო. 2006 წლიდან ახალციხის სომხური ახალგაზრდული ცენტრის დირექტორია. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სარქის აკოფჯანიანი 1959 წელს დაიბადა, ქალაქ ახალციხეში. უმაღლესი განათლება ყაზახისტანში მიიღო. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

72 წლის ჟენია აივაზიანი 30 წელზე მეტია სარქის აკოფჯანიანის მეზობლად ცხოვრობს: „ჩემ შვილებთან ერთად სწავლობდა. უბანში ყველას ძალიან გვიყვარს, არასდროს არავისთვის არაფერი დაუშავებია".

გრიგოლ მინასიანის უდანაშაულობაში დარწმუნებულნი არიან მისი მეგობრებიც. ახალგაზრდები ვინაობის გამჟღავნებისგან თავს იკავებენ. მათი ვარაუდით გრიგოლ მინასიანი პოლიტიკური მოტივით დააკავეს: „რამდენი პოლიტპატიმარი ჰყავს ამ ქვეყანას და რამდენი გამოუძიებელი საქმე და მკვლელობა ახსოვს საზოგადოებას?! გრიშასაც დააბრალებენ, რა პრობლემაა. ღმერთმა იცის ეს ამბავი ვის რისთვის ჭირდება. შეიძლება ამის შემდეგ დაჭერების სერიაც გაგრძელდეს ,,.

მათი განცხადებით, ამ ფაქტმა სამცხე-ჯავახეთში შესაძლოა სომხებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა დაძაბოს: „ბუნტი და სისხლი არ იქნება, მაგრამ ამას სერიოზული საპროტესტო აქციები მოყვება".

„არავინ იცის თუ რა გაავსებს საბოლოოდ მოთმინების ფიალას და გადმოიღვრება როგორც პროტესტი. ისლა დაგვრჩა, იმედი ვიქონიოთ, რომ გამოძიება ამგვარი უმძიმესი ბარალების შემთხვევაში ობიქტური და მიუკერძოებელი იქნება", - აცხადებს სომხეთში მცხოვრები ექსპერტი რეგიონალური კონფლიქტების საკითხში სერგეი სარქისიანი.

სხვაგვარად ფიქრობს სომეხი ეროვნების შუახნის მამაკაცი, რომელიც ვინაობის დაკონკრეტებისგან თავს იკავებს: „ამ ქვეყანაში ცხოვრობენ და ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ. ჯერ იყო და მარდაში რომ ეკლესიაა, იმაზე ხელმოწერებს აგროვებდნენ, სომხურიაო. მერე იყო და ამბობდნენ რუსეთთან, გიორგაძის პარტიასთან არიან შეკრულებიო".

„ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის" ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ვერონიკა ამბარიანის განმარტებით, ხელმოწერები, რომლებსაც ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი აკეთებდა, ერთ-ერთი სომეხი მღვდლისთვის გროვდებოდა: „მღვდელი ტერ მანუქ ქაჰანაზ ეინალიანი, რომელიც ერთი წელია რაც ახალციხეში მუშაობს, თბილისში უნდა გადაეყვანათ. მოსახლეობას კი მისი მუშაობა მოსწონდა. ამიტომ ვაკეთებდით ხელმოწერებს. ჩხრეკისას ეს სიებიც წაიღეს".

ვერონიკას გრიშა მინასიანის იგორ გიორგაძესთან შესაძლო კავშირი უფრო აკვირვებს: „საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე ყველამ ნაციონალურ მოძრაობას მივეცით ხმა. კი არ უნდა დაეკავებინათ, პირიქით, მადლობა უნდა გადაეხადათ მისთვის, ისეთი მხარდამჭერი იყო".

დაკავების დღიდან არ წყდება ხალხმრავლობა მინასიანების ოჯახში. მანქანებითა თუ სამარშრუტო ტაქსებით ექვმიტანილის ოჯახს ახლობლები არა მხოლოდ ახალციხიდან სტუმრობენ.

ახალციხის მკვიდრი, შპს „ბუნების" გენერალური დირექტორი სამველ აგიკიანი გრიგოლ მინასიანს პირადად იცნობს. მისი თქმით, წინასწარ რაიმეს მტკიცება, ან უარყოფა არასერიოზულია: „აქტიური პიროვნებაა, ხელისუფლებასთან ჰქონდა მისვლა-მოსვლა. დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ იქნებ კანონს გადააჭარბა? ქვეყნის ღალატს არავის აპატიებენ, არ აქვს მნიშვნელობა რომელი ეთნოსის წარმომადგენელი ხარ. მაგრამ არ მჯერა რომ გრიშა ამას ჩაიდენდა. თბილისში ვსაქმიანობ და ჩამოვედი, რომ ხალხი დავაწყნარო. მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ. უკანონოდ არაფერი არ კეთდება. მთავარია ზედმეტი არაფერი მოხდეს. საქართველოს ბუნტი და არეულობა არ ჭირდება".

# ერგნეთს მოსახლეობა უბრუნდება

*შიდა ქართლიდან დევნილთა ნაწილი, ახალ დასახლებებში ცხოვრებას, კვლავ მშობლიურ სოფელში დაბრუნებას არჩევს.*

მარიკა წიქორიძე,
ერგნეთი

დაბომბილი და გადამწვარი სახლები, თითქმის ცარიელი ქუჩები, სადაც ადამიანები ჯერ კიდევ კანტიკუნტად დადიან - ერგნეთში ერთი შეხედვით სიმშვიდეა, თუმცა ომის, აგრესიისა და შიშის კვალი სოფელს დღემდე ეტყობა.

ერთი ქუჩის რიგზე ჩაყოლებული, მწვანედ შეღებილი ხის ჯებირები ზოგან კვამლს გაუშავებია, ზოგან კი, მთლიანად გაუნადგურებია ცეცხლს. სულ რაღაც 7 თვის წინ კომბოსტოსა და ვაშლის ბაღებით მდიდარი, გამწვანებული ერგნეთი, დღეს გადამწვარი, ნაცრისფერი სოფელია.

ერგნეთიდან 500 მეტრში ბლოკ-საგუშაგოა, რომელსაც ქართული პოლიცია და შსს-ს სპეც-დანიშნულების ნაწილი აკონტროლებს. აქ ტერიტორია ორად იყოფა.

ერთ მხარეს ქართული დროშა, რამდენიმე ნაბიჯში კი, ერთდროულად რუსული და ოსური დროშები ფრიალებს.

აქედან ცხინვალი ყველაზე ახლოს და თანაც ყვალაზე შორსაა, ხელისგულივით მოჩანს თავად ქალაქიცა და შემაღლებულ გორაკზე განთავსებული რუსული საგუშაგოც.

ერგნეთელები - ისინი ვინც საკუთარ ეზოებს დაუბრუნდნენ და რომელთა სახლ-კარი ჭურვებმა და მარადიორებმა ჯერ კიდევ აგვისტოში იმსხვერპლა, ამბობენ რომ, სოფელში ცხოვრება დღეს განსაკუთრებით საშიშია. „არავინ იცის კიდევ როდის მოუფრენს და მოშივდება რუსის ჯარს"

„საშიშია, მაგრამ რას ვიზამთ, შევეჩვიეთ, 18 წელი სულ ხმაური, გატაცებები. თავიდან მოგვიწევს ცხოვრების დაწყება. მაგრამ რაც მთავარია ისევ აქ ვართ", - ამბობს სოფელ ერგნეთის მკვიდრი კაკო კასრაძე, რომელიც საკუთარ ეზოს ერთი თვის წინ დაუბრუნდა.

კაკო კასრაძემ გორთაც ახლოს დევნილებისთვის სკებივით ჩალაგებულ ერთნაირ კოტეჯებში ცხოვრებაზე უარი თქვა და კოტეჯის საკუთარ ეზოში აშენება ითხოვა. ახლა მეუღლესთან ერთად აქ ცხოვრობს.

„ჩემი სახლი მთლიანად გაანადგურა ჭურვებმა, ხელისუფლებამ კოტეჯი საკუთარ ეზოში ამიშენა. მირჩევნია ყოველ დილით ჩემ დამწვარ სახლს ვუყურო და მისი ხელახლა აშენების იმედით ვიცხოვრო, ვიდრე სხვაგან აქაურობის დარდმა გადამიყოლოს. აქ დამწვარი და დანგრეული მაგრამ, მაინც ჩემი სახლია", - ამბობს კაკო კასრაძე.

ერგნეთში ომამდე ორას კომლზე მეტი ცხოვრობდა, ომის დროს სოფელი თითქმის ერთ დღეში დაიცალა, ერგნეთი მაშინ მხოლოდ მოხუცების ნაწილს არ დაუტოვებია.

ოლია კარელიძის მეუღლე 9 აგვისტოს, როცა მთელი ქუჩა ერთ მიკროავტობუსში ჩაეტია და გასამგზავრებლად მოემზადა, სახლში მარტო დარჩა. იმედი ქონდა რომ ყველაფერი მალე დასრულდებოდა.

„ნეტა ეგეც წამოსულიყო. დაუჭერიათ ოსებს ჩაუგდიათ კუშეტკაში, უნდოდათ მოეკლათ. ეს გამოქცეულა, მაინც დაუჭერიათ, თოფის კონდახი ჩაურტყამთ თავში და წყალში ჩაუგდიათ გონება დაკარგული. ეს, როგორღაც, ბაღის ბოლომდე ამოსულა და გასისხლიანებული თავით, ფეხით წამოსულა ბროწლეთამდე, იქიდან კიდე ქართევლ სამხდროებს გორში ექიმამდე ჩაუყვანიათ. ეხლაც საავადმყოფოში გვიწევს თბილისში, ცუდად არის", - ყვება ოლია კარელიძე და დასძენს რომ, სოფელში ყოველი დაბრუნებული მეზობლის გამოჩენა უხარია.

ახალი მონაცემებით, ერგნეთში, ჯერჯერობით, მხოლოდ 50 ოჯახი დაბრუნდა. დანარჩენები დაბრუნდებას ვერ ახერხებენ, რადგან მათი საცხოვრებელი სახლი დამწვარი, ან დანგრეულია. შიდა ქართლის რწმუნებული ამბობს რომ, ხელისუფლების რაც შეძლო ამ ადამინაებისთვის ყველაფერი გააკეთა.

„ჩვენი ბიუჯეტი რა საშულებასაც გვაძლევდა, იმის მიხედვით ვიმოქმედეთ. ოცი ათასი ლარის ფარგლებში რომელი საცხოვრებელი სახლის აღდგენაც შეიძლებოდა, აღვადგინეთ. რომელსაც ეს თანხა არ ეყო, მათ მეპატროეებს 15 ათასი დოლარის კომპენსაცია შევთავაზეთ", - აცხადებს რწმუნებული.

„ამ სოფელში 90% შეძლებული ოჯახი ცხოვრბდა. აქ ისეთი სახლები იდგა, მათ აღდგენას მინიმუმ 150 ათასი ლარი არ ეყოფოდა. არის რისკის ფაქტორიც - სოფლის ადგილმდებარეობა. წარმოიდგინეთ 800 000 ლარი სახლს დაახარჯო და მეორე დღეს ვიღაცამ ბენზინიანი ბოთლი გაარტყას. ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია როგორც ერგნეთი, ისე ზემო ნიქოზი და დვანი, ვეცდებით რომ ეს სოფლები არ დაიცალოს", - დასძენს ლადო ვარძელაშვილი.

კაკო კასრაძე გამონაკლისი არ არის, ვინც კოტეჯის აშენება საკუთარ ეზოში ითხოვა. დაბრუნებულთა ნაწილმა კომპენსაციის სახით 15 ათასი დოლარი მიიღო. თუმცა, როგორც მათი უმრავლესობა ამბობს, „ზარალი ბევრად მეტია ვიდრე თანხა" და რომ „ეს თანხა არც სახლის აშენებას ეყოფა, არც რეაბილიტაციას".

„კომპენსაცია ყველას ერთნაირად მისცეს, არ ქონდა მნიშვნელობა ვის მეტი დაეკარგა, ვის ნაკლები. კოტეჯები სწრაფად ააშენეს, თან ზამთარში. ქვიშითაა გალესილი და არანაირი რემონტი არ არის ჩატარებული, კედლები სველია და საცხოვრებლადაც უვარგისი", - ამბობს ერგნეთში დაბრუნებული ერთ-ერთი მამაკაცი.

პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში ლადო ვარძელასვილი ამბობს რომ, მშენებლობებთან დაკავშირებით ხარვეზები ნამდვილად არსებობს, თუმცა არსებობს ამ ხარვეზების აღმოფხვრის გეგმაც.

„ხარვეზები სერიოზულ კომპანიებს აქვთ და როგორ ფიქრობთ, ორ თვეში აშენებულ სახლებს არ ექნებათ? პრობლემატური ხარვეზი არ არის, ვთქვათ მდგრადობასთან დაკავშირებით, ნგრევა რომ ემუქრებოდეს. სახლები მყარია და ძლიერი. გაზაფხულზე ყველა სახლს კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარება", - აცხადებს ვარძელაშვილი.

ერგნეთში ჯერ არც სასწავლო პროცესი აღდგენილა და არც ამბულატორია გახსნილა. რეაბილიტაციის პროცესშია ადგილობრივი საჯარო სკოლა და საავადმყოფო, რომელიც სავარაუდოდ მარტიდან ამოქმედდება.

„აქ ჩემი წინაპრების ადგილია და ძნელია ერთი ხელისმოსმით ადგე და წახვიდე. ჩემ ჭიშკართანაც რომ მიმახვრიტონ. აქაურობის დატოვებას არ ვაპირებ", - ამბობს ერგნეთელი კაკო კასრაძე.

## მედვედევ-სერდიუკოვის განცხადებები

საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსის" თანახმად, შეერთებული შტატების მხრიდან ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგებაზე უარის თქმის შემთხვევაში რუსეთი საპასუხო ქმედებებს არ განახორციელებს. რუსეთის თავდაცვის მინისტრ ანატოლი სერდიუკოვის განცხადებით, თუკი ამერიკა ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსებას შეწყვეტს, რუსეთი დაგეგმილ საპასუხო ქმედებებს არ განახორციელებს. თუმცა, რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ირანის ბირთვული იარაღის პრობლემისა და ამერიკის მიერ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსების საკითხების გაცვლის შესაძლებლობას უარყოფს. "ამ საკითხების გაცვლის შესაძლებლობას, მით უმეტეს ირანის პრობლემატიკით, არავინ განიხილავს. ირანის ბირთვულ პროგრამაზე ამერიკელ კოლეგებთან ისედაც აქტიურად ვთანამშრომლობთ," - განმარტავს მედვედევი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ბარაკ ობამასა და გორდონ ბრაუნის მოლაპარაკება

აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნს შორის ნახევარსაათიანი მოლაპარაკება გაიმართა. ორი ლიდერის მოლაპარაკების მთავარი თემა ეკონომიკური კრიზისი და ავღანეთში შექმნილი ვითარება, ერაყისა და პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი იყო. როგორც ობამასთან შეხვედრამდე ბრაუნმა განაცხადა, მისი მიზანი იქნება აშშ-ს პრეზიდენტს გადასცეს ბრიუსელის სამიტის სულისკვეთება და ევროპელი ლიდერების გზავნილი, ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად "გადამჭრელი გლობალური ღონისძიებების აუცილებლობის შესახებ".

**ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსეთის გენშტაბისთვის აშშ-ს წინადადებები მიუღებელია

"რუსეთს ხელს არ აძლევს ამერიკული მხარის წინადადებები, რომლებიც სტრატეგიული თავდასხმის იარაღის შემცირების შესახებ არსებული შეთანხმების ვადის გაგრძელებას ეხება. აღნიშნული შეთანხმების ვადა 2009 წლის დეკემბერში იწურება. სტრატეგიული თავდასხმის იარაღის შემცირების შეთანხმება სამხედრო თვალსაზრისით რუსეთისთვის არამომგებიანია, პირველ ყოვლისა კი, აშშ-ს გასვლა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეთანხმებიდან. ეს შეთანხმება საერთოდ არ უნდა არსებობდეს," - ეს განცხადება რუსულ მედიასთან საუბარში რუსეთის გენშტაბის წარმომადგენელმა გააკეთა. მისი თქმით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი შეიარაღების მნიშვნელოვან შემცირებას დათანხმდეს, რადგან ეს შეიძლება რუსული სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს. "სტრატეგიულად მნიშვნელოვანი შეიარაღების შემცირების შესახებ კონკრეტული წინადადებები ამერიკელი პარტნიორებისგან ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ აშშ-ს მიერ გლობალური ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების გაშლის პირობებში, მათ ამ წინადადებებს წმინდა წყლის სიცრუედ აღვიქვამთ," - აცხადებს რუსეთის გენშტაბის მაღალჩინოსანი სამხედრო პირი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## კენჭისყრა უკრაინის პარლამენტში

საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, უკრაინის პარლამენტმა ქვეყნის ორი უმაღლესი პირის - უკრაინის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის, ასევე უმაღლესი რადას დეპუტატებისთვის ხელფასის ორჯერ შემცირებას უყარა კენჭი. გადაწყვეტილებას 450 პარლამენტარიდან 374-მა დაუჭირა მხარი. ხელფასების შემცირება ეკონომიკური კრიზისის დროს საბიუჯეტო სახსრების შემცირებამ გამოიწვია. შემცირებული ხელფასების მიღება ჩინოვნიკებს 2010 წლის 1 იანვრამდე მოუწევთ. ხელფასების შემცირება თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, პრეზიდენტისა და მთავრობის მდივნებს, ვიცე-პრემიერების, რეგიონულ და საქალაქო ადმინისტრაციებს, პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოების ხელმძღვანელებსაც შეეხოთ. მაღალი თანამდებობის პირებისთვის ხელფასის სამჯერ შემცირების ინიციატივით მანამდე პრემიერი იულია ტიმოშენკო გამოვიდა. პრემიერი ეკონომიკური კრიზისის ფარგლებში პარლამენტარებისთვის შეღავათების გაუქმებასაც მოითხოვდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# ჰილარი კლინტონის პირველი ოფიციალური ვიზიტი ისრაელში

ხათუნა ბაბიევი



AFP ' 2009

*ჰილარი კლინტონი და შიმონ პერესი.*

ისრაელსა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის რანგში ჰილარი კლინტონი პირველად ეწვია. ორდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე ისრაელისა და პალესტინის ლიდერებთან იგი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობაზე ისაუბრებს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ისრაელში კოალიციური მთავრობის ფორმირების პროცესი ჯერ არ დასრულებულა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ მიმართულებით რამე დიპლომატიური წარმატება იყოს მოსალოდნელი. ამის მიუხედავად, ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესთან შეხვედრაზე შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი მზადაა, ნებისმიერი შემადგენლობის მთავრობასთან ითანამშრომლოს, თუკი ეს უკანასკნელი **"ისრაელის ხალხის დემოკრატიული ნების გამომხატველი იქნება."** პერესი, თავის მხრივ, შეეცადა კლინტონის დარწმუნებას იმაში, რომ მემარჯვენე-ცენტრისტული კაბინეტი, რომელსაც ბენიამინ ნეთანიაჰუ აყალიბებს, გააგრძელებს დიპლომატიური მეთოდებით ვითარების გზების ძიებას.

კლინტონი-პერესის შეხვედრა პრესკონფერენციით დასრულდა, სადაც შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ისრაელის უსაფრთხოების საკითხისადმი ოფიციალური ვაშინგტონის გადამწყვეტ და უცვლელ თანმიმდევრულობაზე ისაუბრა.

**"ისრაელის ტერიტორიაზე უაზრო სარაკეტო იერიშები უნდა შეწყდეს. თავისთავად ცხადია, რომ არც ერთი სახელმწიფო, ისრაელის ჩათვლით, არ დაიკრეფს გულზე ხელებს, როდესაც მის მშვიდობიან მოქალაქეებს რაკეტებს უშენენ,"** - განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ოფიციალური ვიზიტის პროგრამით ჰილარი კლინტონი ისრაელის მომავალ პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუს, პრემიერის მოვალეობის შემსრულებელ ეჰუდ ოლმერტსა და პარტიულ ლიდერებს - ციპი ლივნისა და ეჰუდ ბარაკს შეხვდა.

დღეს კი ჰილარი კლინტონი მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელ მაჰმუდ აბასს შეხვდება.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ისრაელს ეგვიპტეში ვიზიტის დასრულების შემდეგ ეწვია, სადაც საერთაშორისო დონორთა კონფერენციაზე ოფიციალური ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები ღაზას სექტორის აღსადგენად, დაახლოებით, 4.5 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის დახმარების გამოყოფაზე შეთანხმდნენ, მხოლოდ იმ პირობით, თუ თანხები "ჰამასის" ხელში არ აღმოჩნდება. გარდა ამისა, შარმ ელ-შეიხის შეხვედრაზე კლინტონმა პალესტინური სახელმწიფოს შექმნისთვის ამერიკის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები ისრაელის უახლოესი მოკავშირეა, ექსპერტები ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დაძაბვის პოტენციურ საფრთხეებზეც საუბრობენ. ასეთი დასკვნა მიმომხილველებს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ ბენიამინ ნეთანიაჰუს პოზიციიდან გამომდინარე გამოაქვთ, რომელიც არ ემხრობა პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. ამასთანავე, ოფიციალური ვაშინგტონი დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების მშენებლობის გაგრძელების შესახებ ნეთანიაჰუს გეგმასაც აკრიტიკებს. ახლო აღმოსავლეთში "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტ ტიმ ფრენკსის თქმით, ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ოფიციალური ვაშინგტონისა და თელ-ავივის ურთიერთობებზე.

# გამჟღავნებული "ანტიტერორისტული" დოკუმენტაცია

ხათუნა ბაბიევი

საინფორმაციო სააგენტო "ფრანს პრესის" ცნობით, ბარაკ ობამამ თავისი წინამორბედის მმართველობის დროინდელი რამდენიმე საიდუმლო დოკუმენტი გახადა საჯარო. როგორც ირკვევა, იუსტიციის სამინისტროს სპეციალისტები ჯორჯ ბუშ უმცროსს არწმუნებდნენ, რომ ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისთვის მას შეეძლო, დიდად არ მიექცია ყურადღება ადამიანის უფლებებისთვის, ხოლო დაზვერვის ცენტრალურმა სააგენტომ გაანადგურა თითქმის ყველა ვიდეოკასეტა, რომლებზეც ტერორიზმში ბრალდებული პირების დაკითხვის კადრები იყო ასახული.

"ესოშიეიტიდ პრესის" თანახმად, ცხრა იურიდიულ დასკვნაში, რომლებიც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გამოჩნდა, მაგრამ საზოგადოებისთვის 2009 წლის 2 მარტს გახდა ხელმისაწვდომი, ნათქვამია, რომ შესაძლებელია "ტერორიზმთან ბრძოლის დროს" ზოგიერთი კონსტიტუციური უფლება არ იყოს გათვალისწინებული. როგორც ირკვევა, აღნიშნული დასკვნების შედგენიდან უკვე ორ კვირაში, მთავრობის იურისტები განიხილავდნენ სასამართლოს სანქციის გარეშე მოქალაქეთა სატელეფონო მოსმენების შესაძლებლობას.

იუსტიციის სამინისტროს ზოგიერთი სპეციალისტი აღიარებდა პრეზიდენტის უფლებას, შეეზღუდა სიტყვისა და პრესის თავისუფლება და გაეუქმებინა არასანქცირებული ჩხრეკის აკრძალვა. თუმცა, სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ კონკრეტულად სატელეფონო მოსმენებზე სპეციალისტები არაფერს ამბობდნენ. დასკვნებმა, როგორც ჩანს, გადამწყვეტი როლი ითამაშა "ტერორთან ომის" ფარგლებში ბევრი სადავო საკითხის რესპუბლიკელთა პოლიტიკის სასარგებლოდ გადასაჭრელად, რის მაგალითადაც გუანტანამოს ბანაკის გახსნაც გამოდგება.

თუმცა, არც იმის დავიწყება ივარგებს, რომ ძველი პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სამინისტროს მრავალი რჩევა არ გაითვალისწინა. ამის მიუხედავად, დოკუმენტები განსაკუთრებით იყო გასაიდუმლოებული. ბარაკ ობამას ნაბიჯმა, საჯარო გაეხადა ასეთი ტიპის საიდუმლო დოკუმენტები, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თავისი წინამორბედის სადავო გადაწყვეტილებებს.

დოკუმენტების პუბლიკაციამდე ცოტა ხნით ადრე ბუშის პოლიტიკის კრიტიკით გამოვიდა შეერთებული შტატების ახალი გენერალური პროკურორი ერიკ ჰოლდერი. მისი თქმით, ტერორთან ბრძოლის ეგიდით, სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლების დარღვევისთვის მზადყოფნას "სინამდვილეში სარგებელზე ბევრად მეტი ზიანი მოაქვს." ჰოლდერმა წამების ისეთ ფორმაზეც ისაუბრა, როგორიცაა "ჩაყურყუმალავება", რაც ხშირად გამოიყენებოდა გუანტანამოს პატიმრების მიმართ. "ფრანს პრესის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჰოლდერმა პირობა დადო, რომ ამიერიდან იუსტიციის სამინისტრო აღარ დაუშვებს წამების ასეთი ფორმის გამოყენებას, რადგან იგი არსებითად ეწინააღმდეგება ამერიკულ სასამართლო სისტემასა და ფასეულობებს.

რაც შეეხება დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მიერ განადგურებულ 92 კასეტას, რომლებზეც ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების დაკითხვა იყო ასახული, ვიდეომტკიცებულება მხოლოდ ამ კასეტებით შემოიფარგლება. ბუშის პოლიტიკის კრიტიკოსთა აზრით, რეალურად სპეცსამსახურებს დასახელებულ ციფრზე მეტი ოდენობის მტკიცებულება უნდა ჰქონდეთ განადგურებული. შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ გადასცემს ფედერალურ სასამართლოს ყველა დოკუმენტს, რაც კი ჩანაწერების განადგურებას ეხება.

ახალი ადმინისტრაციისა და მისი შეფის სასარგებლოდ კი ჯერჯერობით დანამდვილებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ბარაკ ობამამ ინაუგურაციის შემდეგ მალევე მოაწერა ხელი გუანტანამოს ციხის დახურვის ბრძანებას და ტერორიზმში ეჭვმიტანილთა სამოქალაქო სასამართლოებისთვის გადაცემის შესახებ გასცა განკარგულება. გუანტანამოს გახსნის შემდეგ ამ საპყრობილეში 800 პატიმარმა ამოყო თავი, დღემდე კი იქ, დაახლოებით, 200 ეჭვმიტანილი რჩება.

# რევიუ



სამხრეთ აფრიკის დედაქალაქ იოჰანესბურგში ცეკვის ცნობილი ფესტივალი FNB Dance Umbrella გაიხსნა. აღნიშნული ფესტივალი A კატეგორიის ღონისძიებებს განეკუთვნება და მსოფლიოს საუკეთესო პროფესიონალ მოცეკვავეებს აერთიანებს. სპეციალურად ფესტივალისთვის იოჰანესბურგში 21 საცეკვაო სცენა ააგეს, ყოველი მათგანი კი თანამედროვე ცეკვის საუკეთესო კოლექტივებსა და ინდივიდუალურ მოცეკვავეებს ეთმობა.

## მუსიკა, რომელიც მოზარდების ფსიქიკაზე მოქმედებს



აგრესიულ-სექსუალური ტექსტით გამორჩეულმა მუსიკამ, როგორც აღმოჩნდა, შესაძლებელია მოზარდებში ნაადრევი სქესობრივი ცხოვრების დაწყებას გაუწიოს პროვოცირება.

ეს ვარაუდი პიტსბურგის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოთქვეს, რომლებმაც გამოკვლევა 711 ახალგაზრდას ჩაუტარეს.

ახალგაზრდებს უნდა ეპასუხათ მათ სექსუალურ ცხოვრებასთან და მუსიკასთან დაკავშირებულ კითხვებზე. აღმოჩნდა, რომ ვაჟები და გოგონები, რომლებიც უპირატესობას სექსის თემაზე შექმნილი ტექსტებით გამორჩეულ აგრესიულ მუსიკას ანიჭებენ, სექსულაური ცხოვრება თანატოლებთან შედარებით ნაადრევად დაიწყეს.

მეცნიერებმა უარი განაცხადეს იმ კონკრეტული სიმღერების დასახელებისგან, რომელთა მიმართაც სიყვარული სექსით სხვებზე ხშირად დაკავებულმა მოზარდებმა დაადასტურეს. მაგრამ მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ ესენი იყო კომპოზიციები, რომლებშიც სექსი აღწერილი იყო, როგორც ფიზიოლოგიურად, და არა როგორც სიყვარულის აქტი. ხშირად ამ სიმღერების ტექსტებში შეინიშნებოდა ძალადობის ელემენტი.

გამოკვლევის ხელმძღვანელი ექიმი ბრაიან პრაიმაკი მიიჩნევს, რომ, მიუხედავად გამოკვლევების შედეგისა, მუსიკალურ გემოვნებასა და სექსუალურ ცხოვრებას შორის პირდაპირ კავშირზე ლაპარაკი ნაადრევია.

ამავე დროს მშობლები ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა დაფიქრდნენ. მე არ ვამბობ, რომ მათ შვილებს ასეთი მუსიკის მოსმენა უნდა აუკრძალონ, არამგონია ამან გაჭრას. მაგრამ ისინი მათ სექსზე უნდა ესაუბრონ და სიმღერების გარკვეული ტექსტები კონტექსტში უნდა მოაქციონ", - მიიჩნევს პრაიმაკი.

ოჯახის დაგეგმვისა და ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრების წარმომადგენელი ბრიტანელი სპეციალისტები ახალგაზრდების სექსულურობაზე მუსიკის გავლენის იდეას სკეპტიკურად შეხვდნენ.

საქველმოქმედო ორგანიზაციის, სახელწოდებით - Brook, წარმომადგენელი, რომელიც მოზარდებს უწევს დახმარებას, აღნიშნა: - ძალიან მარტივია თქმა იმისა, რომ ვიღაც დაკავებულია სექსით, იმიტომ რომ რაღაც მუსიკას უსმენს".

ამ მოსაზრებას იზიარებს ოჯახის დაგეგმვის ასოციაციის წარმომადგენელი რებეკა ფინდლი, რომელიც მიიჩნევს, რომ სექსუალური ქცევა რომელიმე ერთი ფაქტორით არ განისაზღვრება.

მე ვფიქრობ, რომ ეს გამოკვლევა სხვა რამეს გვაჩვენებს, კერძოდ: სექსუალური აღზრდის მნიშვნელობას", - აცხადებს ფინდლი.

### სომხეთში ქართული კულტურის დღეები იმართება

პროექტ ქართული სეზონის ფარგლებში სომხეთის დედაქალაქ ერევანში ქართული კულტურის დღეები მიმდინარეობს. კულტურის დღეები ოპერის თეატრის საბალეტო დასის სპექტაკლებით გაიხსნა.

როგორც კულტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, ქართული საბალეტო დასი 3-5 მარტს ყოველდღიურად სამ სპექტაკლს გამართავს. თვითონ საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი კი 5 მარტს დაგეგმილ ერთ-ერთ სპექტაკლში იცეკვებს. 9 მარტისთვის დაგეგმილია სახელმწიფო კამერული ორკესტრის კონცერტიც, ვახტანგ კახიძის დირიჟორობით.

პროექტ "ქართული სეზონის" ფარგლებშივე უახლოეს მომავალში ერევანში ქართული ექსპოზიციაც გაიგზავნება, რომელშიც ფიროსმანის, ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილისა და თედო მაღალაშვილის ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი.

პროექტში რუსთაველის თეატრიც მიიღებს მონაწილეობას და ერევანში სომეხი რეჟისორის მიერ დადგმულ სპექტაკლს ითამაშებენ.

**მედიანიუსი**

### გაიმართება ალა პუგაჩოვას ვიდეო-პრესკონფერენცია თბილისი-მოსკოვი-კიევი

5 მარტს "რია ნოვოსტის" თბილისის საერთაშორისო პრეს-ცენტრში გაიმართება სსრკ-ის სახალხო არტისტის ალა პუგაჩოვას ვიდეო-პრესკონფერენცია თბილისი-მოსკოვი-კიევი, რომელიც ეძღვნება კონცერტს კრემლის სასახლეში და ოლიმპიურ კომპლექს "ლუჟნიკიში", საიუბილეო ტურს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, უნიკალური ფოტოალბომის გამოსვლას და დაბადების დღეს.

"რია ნოვოსტის" თბილისის პრეს-ცენტრში ცნობილი მომღერლის მისალოცად მოვლენ საქართველოს სახალხო არტისტი ნანი ბრეგვაძე, დუეტი "ჯორჯია", რომელმაც 2008 წლის ზაფხულში იურმალის ფესტივალზე "ახალი ტალღა" გაიმარჯვა (მაკა ზამახიძე და რატი დურგლიშვილი) და საქართველოს რუსული კლუბის პრეზიდენტი და გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული აკადემიური დრამატული თეატრის დირექტორი ნიკოლაი სვენტიცკი.

ვიდე-პრესკონფერენციის მსვლელობისას ჟურნალისტები ალა პუგაჩოვასთვის კითხვების დასმას შეძლებენ.

**მედიანიუსი**

### "We don t whana put in"-ს რუსმა დეპუტატებმა მოწოდებით "მიშა, შეწყვიტე კოკაინის ყნოსვა და გონს მოუხმე" უპასუხეს

სტეფანეს და 3G-ს სიმღერა "We don t whana put in" მოსკოვში რამდენიმე ათეულმა დეპუტატმა ხმაურიანი აქციით გააპროტესტა.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სახელისუფლებო ფრაქციის ახალგაზრდულმა ჯგუფმა მოსკოვში საქართველოს დახურული საელჩოს წინ სიმღერის წინააღმდეგ მიტინგი გამართა.

პარტია "ახალგაზრდა რუსეთის" ლიდერის და რუსეთის პარლამენტის წევრის მაქსიმ მიშჩენკოს განცხადებით, "ევროვიზიის" კონკურსზე წარდგენელი ქართული სიმღერა რუსეთს და მის პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ პუტინს შეურაცხყოფას აყენებს".

"ეს სიმღერა მხოლოდ პუტინს კი არა, მთელ რუს ხალხს აყენებს შეურაცხყოფას. ვფიქრობ, არაპოლიტიკური კონკურსი არ უნდა გადააქციო პოლიტიკურ შოუდ, სადაც შენს ოპონენტებს შეურაცხყოფას მიაყენებ", - განაცხადა მიშჩენკომ. სიმღერა, რომელმაც კონკურსზე საქართველოს წარდგენის უფლება გასულ თვეს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ჟიურის გადაწყვეტილების და სატელეფონო გამოკითხვის საფუძველზე მოიპოვა, ახალგაზრდა დეპუტატებმა "რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ის შეთქმულებად" აღიქვეს.

"ჩვენ გვგონია, რომ საქართველომ ეს სიმღერა საკონკურსოდ იმიტომ წარადგინა, რომ ამერიკამ ამისთვის გადაუხადა. ამერიკა საქართველოში ყველაფრისთვის იხდის ფულს", - განაცხადა "ახალგაზრდა რუსეთის" სპიკერმა ევგენი ნასონოვმა, რომელიც საპროტესო გამოსვლაში მონაწილეობდა.

ჯგუფმა აქციაზე ცოცხალი ინდაური მიიყვანა და განმარტა, რომ ის საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს განასახიერებდა, ხოლო ორმა აქტივისტმა ნატოს უნიფორმის მსგავსი სამოსი ჩაიცვა და ინდაურს ყალბი დოლარები გადააყარა.

"მიშა, შეწყვიტე კოკაინის ყნოსვა და გონს მოუხმე", - სკანდირებდნენ აქტივისტები. როგორც ცნობილია, დისკოს სტილის ინგლისურენოვან სიმღერას, რომელსაც სტეფანე და 3G "ევროვიზიის" მოსკოვის კონკურსზე შეასრულებენ, რუსეთში იმთავითვე ხმაური მოჰყვა. მის მისამღერში გამოყენებულია ფრაზა "we don t whana put in", რომელშიც, ბევრის აზრით, პუტინის გვარია გათამაშებული.

**პირველი**

# საქართველო სულ სხვა ქვეყნის მიწაზე

### ტაო-კლარჯეთის ახალი და ძველი აღმოჩენების შესახებ

ბელა ჩეკურიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ტაო-კლარჯეთის კვლევას 200 წლის ისტორია აქვს, ჯერ კიდევ ბევრი რამაა შეუსწავლელი, აღმოსაჩენი და დასადგენი. მაგალითად, დღემდე სადავოა სად არის კალმახის ციხე, აღმოსაჩენია ქალაქი თუხარისი, ხოლო შატბერდის სამონასტრო კომპლექსის ადგილმდებარეობა სულ რამდენიმე წლის წინ დადგინდა. ასევე პრობლემა იყო ტოპონიმების საკითხშიც, ვინაიდან ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებსა თუ სოფლებს სახელები შეცვლილი ჰქონდა რაც, მკვლევართა დაბნეულობას იწვევდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ტურისტებზე.

ტაო-კლარჯეთის მკვლევარმა, პროფესორმა თემურ ხუციშვილმა გასულ წელს ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების ძეგლების რუკა შეადგინა, სადაც 200-ზე მეტი ობიექტია დაფიქსირებული, და თურქულ სახელებზე ქართული ისტორიული ტოპონიმებია მიწერილი.

როგორც თემურ ხუციშვილმა გვითხრა, ტაო-კლარჯეთის ნომერ პირველი პრობლემა ამ ძეგლების შენარჩუნებაა, რომლებიც საუკუნეების ნგრევას გადაურჩნენ, ხოლო მეორე პრობლემად დგას იმ შეცდომების გასწორება, რაც დიდმა მეცნიერებმა დაუშვეს ამ მხარის კვლევისას. ეს კი არც ისე ადვილია, ვინაიდან, ისეთი ავტორიტეტების შეცდომებზე გვიწევს საუბარი, როგორებიც, მაგალითად, ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვილი იყვნენ.

2004 წელს შატბერდის სამონასტრო კომპლექსის აღმოსაჩენად თემურ ხუციშვილმა ექსპედიცია მოაწყო. იგი პავლე ინგოროყვას მონაცემებს ეყრდნობოდა რომელმაც 1954 წელს, გიორგი მერჩულეს ტექსტზე დაყრდნობით შატბერდის სავარაუდო ადგილსამყოფელი განსაზღვრა. როგორც თემურ ხუციშვილი ამბობს, შატბედრის სწორი იდენტიფიკაციის ავტორად სწორედ პავლე ინგოროყვა უნდა გამოვაცხადოთ. თუმცა კი, იმ წლებში ტაოს კვლევა სრულიად წარმოუდგენელი იყო.

თემურ ხუციშვილის ექსპედიციამ იპოვა პავლე ინგოროყვას მიერ დასახელებული ადგილი, აღმოჩნდა, რომ მას ადგილობრივი მოსახლეობა შარბეთს" უწოდებდა.

დღეს იმ ადგილას, რომელიც მე-9-10 საუკუნეებში ქართული მწიგნობრობის კერა იყო, სადაც სახარების 40 ხელნაწერია დაწერილი და სადაც გრიგოლ ხანძთელმა სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა, ნანგრევებია შემორჩენილი. თუმცა კი, მონასტრის გეგმა იკითხება. შემორჩენილია მთავარი ეკლესიის საკურთხეველი, რომელიც ღვთისმშობლის სახელობისაა, და რომლის სიგრძეც 27 მეტრი იქნებოდა, ასევე სენაკი და სკრიპტორიუმი, რომელიც გაცილებით დიდია,



*შატბერდის მონასტრის ნაშთები.*

ვიდრე ხანძთის, გელათისა თუ იყალთოსი. ეს მართლაც უზარმაზარი ნაგებობა უნდა ყოფილიყო, მისი სიგრძე 23 მეტრია, სიგანე კი 18.

თუმცა კი, შატბერდის იდენტიფიკაცია ასე მარტივად არ მომხდარა და თემურ ხუციშვილს არა მხოლოდ გასული საუკუნის დიდ კორიფეებთან მოუწია" პოლემიკა, არამედ თავის თანამედროვეებთანაც.

შატბერდი და ხანძთა ის ძეგლებია, რომელიც თავის დროზე, მე-20 საუკუნის დასწყისში არასწორად იქნა სახელდებული.

მას შემდეგ რაც მე-19 საუკუნეში გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" აღმოაჩინეს და გაშიფრეს, ქართველი მეცნიერების ძალისხმევა გრიგოლ ხანძთელის 12 სავანეს მოსაძებნად წარიმართა. ტაოსა და კლარჯეთს ძირითადად ექვთიმე თაყაიშვილი იკვლევდა, ხოლო შავშეთსა და კლარჯეთს - ნიკო მარი. ექსპედიციებმა ნაყოფი გამოიღო და ყველა ძეგლი დაფიქსირდა, გარდა შატბერდისა და ხანძთისა.

როგორც 1911 წელს გამოცემული ნიკო მარის დღიური გვიყვება, მას ისე გულით სურდა შატბერდის პოვნა, რომ 1904 წელს ანისის გათხრები მიატოვა და კლარჯეთში მასშტაბური ექსპედიცია მოაწყო მტკიცე გადაწყვეტილებით - როგორმე შატბერდი ეპოვა. მისი სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ხანძთაში რომ ავიდა, ჩათვალა, რომ შატბერდს მიაგნო, მიუხედავად იმისა, რომ მისი მდებარეობა წინააღმდეგობაში მოდიოდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ტექსტთან - შატბერდი დაშორებული უნდა ყოფილიყო სხვა სავანეებისგან, უნდა ჰქონოდა სავარგულები და ა.შ.

იგი იმდენად მოხიბლული იყო თავისი აღმოჩენით, რომ თავის დღიურში წერდა: არ გამიკვირდებოდა, თვით გრიგოლ ხანძთელი რომ გამომცხადებოდა პასუხით კითხვაზე, რომელმაც აქ მომიყვანა: სადაა შატბერდი?"

ვინაიდან სხვა არაფერი ჩანდა, მაშინ ეს მოსაზრება ივანე ჯავახიშვილმა და ექვთიმე თაყაიშვილმაც გაიზიარეს და ის ადგილი, სადაც ახლა უკვე დაბეჯითებით ვიცით რომ ხანძთაა, შატბერდად მოინათლა. 1923 წელს ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით



გამოსულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე ხანძთის მონასტერს შატბერდი აწერია, ხოლო ხანძთა მის ჩრდილოეთით, კარჩხალის მთასთანაა მითითებული.

გასაგებ თუ გაუგებარ მიზეზთა გამო კომუნისტების დროს ქართველ მეცნიერთა მხრიდან ტაო-კლარჯეთის კვლევა შეწყდა და ხანძთის სწორად სახელდება უკვე 60-იან წლებში მოხდა, რაც ლოს ანჯელესში მცხოვრები პროფესორის ვახტანგ ჯობაძის სახელს უკავშირდება. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, იგი როგორც ამერიკელი, ისე ჩადიოდა თურქეთში და ქართულ ძეგლებს იკვლევდა. მისი კვლევა ხანძთის შესახებ ყველა მეცნიერმა გაიზიარა, მაგრამ შატბერდის საკითხი ისევ ჰაერში ეკიდა.

პავლე ინგოროყვასეული თეორია კი, შატბერდის სავარაუდო ადგილმდებარეობის შესახებ მივიწყებული იყო და 90-იან წლებში, როცა საზღვრები გაიხსნა და ტაო-კლარჯეთს მკვლევართა ახალი ტალღა მიადგა, ქართველმა მეცნიერებმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვეს: მათ შატბერდად მიიჩნიეს მონასტერი, რომელსაც ადგილობრივები ენირაბათს უწოდებდნენ. მართალია, ამ მონასტრის ადგილმდებარეობა სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან , მაგრამ მეცნიერები თავს იმართლებდნენ, არტანუჯის მიდამოებში სხვაგან არსად ჩანს ნამონასტრალი, რომელიც შეიძლებოდა დიდებულ ლავრად" მიგვეჩნია და შატბერდის ვრცელი სავანე ასე როგორ გაქრებოდაო? ენი-რაბათი შატბერდად ჯერ ვახტანგ ჯობაძემ მოიხსენია, შემდეგ კი იგივე მოსაზრება განავითარა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა დავით ხოშტარიამ. მართალია, ეს ჰიპოთეზა თედო ჟორდანიას და პავლე ინგოროყვას მოსაზრებებს ეწინააღმდეგებოდა და არც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტთან მოდიოდა თანხმობაში, მაგრამ რა ექნათ? ძალიან სურდათ, რომ ქართული მწიგნობრობის ეს უდიდესი კერა ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილიყო.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესახებ თავის დროზე თურქი მეცნიერებიც წერდნენ, რომელთაც არტანუჯის სამხრეთით ნამონასტრალის შესახებ ჰქონდათ ცნობები, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა შარბეთს" უწოდებდა. 1999 წელს კი, თურქმა მკვლევარმა ქალმა მ. ქარიდოღლუმ გამოიკვლია ეს ნამონასტრალი და დაასკვნა, რომ შარბეთი შატბერდთან უნდა გავაიგივოთო. ეს სამეცნიერო წერილი კიდეც გამოქვეყნდა საერთაშორისო ჟურნალში გეორგიკა 22".

თემურ ხუციშვილის 2004 წლის ექსპედიციას ეს ინფორმაცია არ ჰქონდა, რამდენიმე ქართველი მეცნიერი კი ქარიდოღლუს ნაშრომის არსებობაში მაშინ გამოტყდა, როცა ხუციშვილის ექსპედიციის კვლევის მასალას გაეცნო.

მოკლედ, ქართული ისტორიოგრაფია პარადოქსებით არის სავსე...

მას შემდეგ ტაო-კლარჯეთში არაერთი ექსპედიცია ჩავიდა, შატბერდის ნამონასტრალიც საკუთარი თვალით ნახეს და ენი-რაბათსაც კიდევ ერთხელ შეადარეს, ახალი მონოგრაფიებიც დაიწერა. თუმცა კი, ძველი თეორიის მომხრეები კიდევ დარჩნენ, ის კი არადა, ზოგს ხანძთაც კი სადავოდ მიაჩნია და დღემდე ნიკო მარის მოსაზრებებს იზიარებს. მაგრამ სანამ ისინი წარსულის აჩრდილებს ელოლიავებიან, თურქულ რუკებზე შეცდომები უკვე გასწორდა და ტურისტული საიტებიც ქართველ თუ უცხოელ მოგზაურებს ბოლო პერიოდის აღმოჩენების მიხედვით სთავაზობენ მარშრუტებს.

# ფინანსური კრიზისის მორიგი მსხვერპლი

## მეტროპოლიტენ ოპერამ მარკ შაგალის ფრესკები დააგირავა

ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერამ მარკ შაგალის ორი ფრესკა დააგირავა. ეს ნამუშევრები თეატრის ფოიეს ამშვენებდა. ამის შესახებ ინფორმაციას Associated Press ავრცელებს.

მეტროპოლიტენ ოპერის პრეს-მდივნის პიტერ კლარკის (Peter Clark) სიტყვებით, საქმე გრძელვადიან სესხს" ეხება, მაგრამ კონკრეტულად რა თანხაზეა საუბარი, ეს კლარკს არ დაუზუსტებია.

აღსანიშნავია, რომ ფრესკები, რომლებიც სესხის მოსაპოვებლად გამოიყენეს, ლინკოლნ-ცენტრის თეატრის ფოიში დარჩება. რამდენად არის შეფასებული შაგალის აღნიშნული პანოები, საზოგადოებისთვის უცნობია.

ფრესკების - მუსიკის ტრიუმფი" და მუსიკის საწყისი" მხატვარმა 1960-იანი წლებიში სპეციალურად მეტროპოლიტენის ოპერის თეატრისთვის შექმნა.

ამ ნამუშევრების დაგირავებამდე, ნიუ იორკის სახელგანთქმული მუსიკალური თეატრის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიზეზით, იძულებულნი არიან უარი განაცხადონ ოთხ მაღალბიუჯეტიან დადგმაზე, რომელთა განხორციელებაც 2009-2010 წლებში იგეგმებოდა. ამასთან, 10 პროცენტით შემცირდება თეატრის ხელმძღვანელობის ხელფასიც, რათა მან ფუნქციონირება არ შეწყვიტოს და მიმდინარე წლისთვის განსაზღვრულ 291 მილიონიან ბიუჯეტში ჩაეტიოს. ფინანსების იძულებითი სეკვესტრის მიუხედავად, აღნიშნავენ, რომ წარმოდგენებზე დასწრების მსურველთათვის ყველაზე იაფფასიანი 15 დოლარიანი ბილეთები არ გაუქმდება.

მეტროპოლიტენ ოპერაში მოსალოდნელი სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ ინფორმაცია პირველად ნიუ იორკის მუსიკალური თეატრის დირექტორმა პიტერ გელბმა გაახმაურა. ძვირადღირებულ დადგმებზე უარის თქმას ის, შედარებით, მოკრძალებული წარმოდგენების ჩანაცვლებით აპირებს. როგორც ჩანს, ფინანსური კრიზისი ამ თეატრისთვისაც დაუძლეველი აღმოჩნდა.



უფრო კონკრეტულად კი, თეატრში ჯონ კორილიანოს ვერსალის მოჩვენებებს" ვერდის ტრავიატა" შეცვლის, ხოლო დიმიტრი შოსტაკოვიჩის მცენსკის მაზრის ლედი მაკბეტს" შტრაუსის არიადნა ნაკსოსზე". შტრაუსის კიდევ ერთ ოპერას - მანდილოსანი ჩრდილის გარეშე" მისივე ელექტრა" ჩაანაცვლებს. ბერლიოზის ოპერა ბენვენუტო ჩელინი" კი, რეპერტუარიდან საერთოდ მოიხსნება.

ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, თეატრის მმართველები შტატის შემცირებასაც აპირებენ. თუმცა, რამდენს გაათავისუფლებენ ან რამდენს შეუმცირებენ განაკვეთს, ჯერჯერობით უცნობია.

მეტროპოლიტენ ოპერა 3 625 ადგილზეა გათვლილი. ის 1883 წელს გაიხსნა, 1966 წლიდან კი, ლინკოლნ-ცენტრის შენობაში ფუნქციონირებს, წელიწადში შვიდი თვის განმავლობაში მუშაობს და ძირითადად, მსხვილი კომპანიების, ორგანიზაციებისა და კერძო პირების მიერ ფინანსდება.

მარკ შაგალს და მის ნამუშევრებს რაც შეეხება, ისინი მხატვარმა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში შექმნა. მის მიერ მეტროპოლიტენ-ოპერისთვის შესრულებულმა პანოებმა საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა და თეატრის ღირსშესანიშნაობად იქცა.

მარკ შაგალი XX საუკუნის გამოჩენილი მხატვარია. ის 1887 წელს, ვიტებსკში დაიბადა. აღსანიშნავია, რომ ვიტებსკი ის ადგილი გახლდათ, სადაც ებრაელები კომპაქტურად ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის ბრძანებით ჩაასახლეს.

მარკ შაგალი მეცხრე შვილი გახლდათ ოჯახისთვის, რომელიც თავს, ძირითადად, ვაჭრობით ირჩენდა. თავდაპირველად ის სინაგოგასთან არსებულ სკოლაში მიაბარეს, მოგვიანებით კი, მაღალი წრის ოჯახების შვილებისთვის გამიზნულ გიმნაზიაში.

შაგალი ხატვამ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში გაიტაცა. დაოსტატების მიზნით ის ერთი რეალისტი მხატვრის კერძო გაკვეთილებზეც დადიოდა. 1907 წელს შაგალი სანკტ-პეტერბურგში გადავიდა, სადაც მან ლეონ ბაკსტი გაიცნო. ბაკსტი იმ დროს ყველაზე მოდური თეატრის მხატვარი იყო. შაგალი მის მხატვრულ სტუდიაში ხშირად დადიოდა.

1910 წელს მარკ შაგალი პარიზში გადავიდა და ბოჰემური ყოფის ყოველდღიურობაში ჩაერთო. გაიცნო პოეტ-ავანგარდისტები, კუბისტები და არაერთი სხვა მიმდინარეობის წარმომადგენელი ხელოვანი. სწორედ ამ დროს დაიწყო შაგალმა თავისი უნიკალური მხატვრული ტექნიკის განვითარება. მისი ნამუშევრები პარიზის ნახატების გალერეებში იფინებოდა. 1914 წელს კი, ბერლინში მარკ შაგალის პირველი პერსონალური გამოფენაც მოეწყო, გალერეაში Der Sturm.

გერმანიაში მოპოვებული აღიარების შემდეგ, ის ვიტებსკში დაბრუნდა, სადაც პირველმა მსოფლიო ომმა მოუსწრო. ამ დროს რეალისტური ჩანახატების შესრულებით იყო გატაცებული. 1915 წელს მან ცოლად შეირთო მდიდარი ვაჭრის ქალიშვილი - ვერა როზენფელდი, რომელიც უმალ მისი ნახატების პერსონაჟი და შთაგონების წყარო გახდა.

შაგალმა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია დიდი ენთუზიაზმით მიიღო. ორნახევარი წლის განმავლობაში ის ვიტებსკის კულტურის საქმეთა კომისარი გახლდათ და ძალისხმევას არ იშურებდა იმისათვის, რომ მოეწყო გამოფენები, გაეხსნა სკოლები და მუზეუმები. თუმცა, ვიტებსკის ხელისუფლებასთან მუდმივმა დავამ ის აიძულა მოსკოვში გადასულიყო. მოსკოვში მან საკუთარი შესაძლებლობები თეატრალურ მხატვრობაშიც გამოსცადა.

1922 წელს შაგალი ბერლინში დაბრუნდა და აღმოაჩინა, რომ მისი არაერთი ნამუშევარი დაკარგული იყო. ერთი წლის შემდეგ ის, ოჯახთან ერთად, პარიზში გადავიდა. 1931 წელს მან გამოაქვეყნა თავისი ბიოგრაფიის ჩემი ცხოვრება" ფრანგული ვარიანტი. 1933 წელს ბაზელსა და შვეიცარიაში მოეწყო შაგალის ნამუშევრების გრანდიოზული გამოფენა, რომელმაც მას ევროპაში სახელი განუმტკიცა. 1941 წლიდან ის საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა. 1944 წელს მას მეუღლე გარდაეცვალა, რამაც მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია.

1945 წელს, ნიუ-იორკში, იგორ სტრავინსკის ბალეტისთვის ფასკუნჯი" კოსტუმები და დეკორაციები შაგალმა შექმნა. 1952 წელს, 65 წლის შაგალმა ცოლად შეირთო ვავა ბროდსკი და მის შემოქმედებაში მეორე ახალგაზრდობა დაიწყო.

1964 წელს მხატვარმა ნიუ იორკის გაეროს შენობის შუშის ფასადი და Paris Opera-ს ინტერიერის გაფორმების ახალი პროექტი შეიმუშავა, ორი წლის შემდეგ კი, მუშაობა ნიუ იორკის მეტროპოლიტენ-ოპერას ფრესკებზე დაასრულა.

ის 1985 წლის 28 მარტს გარდაიცვალა.


### საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
### ცვლილება სატენდერო განცხადებაში

**2009 წლის 14 თებერვლის „24 საათი"-ს N32 ნომერში გამოქვეყნებული სატენდერო განცხადება „ . ქ. ქუთაისში კოპიტნარის სამხედრო დასახლებაში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები, სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/21-2009**

**შეიცვალოს და დაემოატოს შემდეგი პუნქტები:**

„4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ;

5. შერჩევის პროცესში საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

7. სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო სამშენებლო სამუშაოების ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს მინიმუმ **9 მლნ.** ლარს.

15. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით (აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებისას).

16. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია. „ *დანარჩენი რჩება უცვლელი.*

### საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
### ცვლილება სატენდერო განცხადებაში

**2009 წლის 14 თებერვლის „24 საათი"-ს N32 ნომერში გამოქვეყნებული სატენდერო განცხადება „ . ქ. ხონში სამხედრო დასახლებაში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები,**
**სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/22-2009**

**შეიცვალოს და დაემოატოს შემდეგი პუნქტები:**

„4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ;

5. შერჩევის პროცესში საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

7. სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო სამშენებლო სამუშაოების ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს მინიმუმ **16.2 მლნ.** ლარს.

15. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით (აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებისას).

16. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია. „ *დანარჩენი რჩება უცვლელი.*

### საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
### ცვლილება სატენდერო განცხადებაში

**2009 წლის 14 თებერვლის „24 საათი"-ს N32 ნომერში გამოქვეყნებული სატენდერო განცხადება „ . გარდაბანში მდებარე კომისარიატის შენობაში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები, სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/20-2009**

**შეიცვალოს და დაემოატოს შემდეგი პუნქტები:**

„4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ;

5. შერჩევის პროცესში საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

7. სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო სამშენებლო სამუშაოების ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს მინიმუმ **5,4 მლნ.** ლარს.

15. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით (აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებისას).

16. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია. „ *დანარჩენი რჩება უცვლელი.*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს ხელმეორედ, ქალაქ თელავის ქუჩებისა და ტროტუარების დაგვა დასუფთავება, მონახვეტის გატანა ქუჩების, ტროტუარების და გამწვანებული ტერიტორიის ფართიდან, ნარჩენების გატანა მოსახლეობიდან და ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან, მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

**ლოტი 1.** ა) ქუჩებისა და ტროტუარების დაგვა დასუფთავება - 101 500 კვ.მ.

ბ) მონახვეტის გატანა ქუჩების, ტროტუარების და გამწვანებული ტერიტორიის ფართიდან - 615

კუბ.მ. თვეში.

გ) მოსახლეობიდან ნარჩენების გატანა - 600 კუბ.მ თვეში.

დ) ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან ნარჩენების გატანა - 300 კუბ.მ თვეში.

მომსახურების მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სათანადო მომართვის წარმოდგენის შემდეგ მოთხოვნისთანავე, 2009 წლის 4 მარტიდან 23 მარტის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თელავი (2200), ერეკლე II გამზ N16, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, II სართული, ტელ: 8 250 7 31 05.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 24 მარტს 10 საათიდან 14 საათამდე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში;

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის იურიდიული სტატუსი და რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (გვარ-სახელი, მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.
- ცნობა სასამართლოდან, გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოების შესახებ.
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.
- ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.
- ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ნუსხა, შესრულების ვადების და დამკვეთის მითითებით.
- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ექვივალენტურ თანხაზე (ლარი).

განცხადებაში მითითებული საკავალიფიკაციო მონაცემები და მოთხოვნები, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიული პირებისათვის შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება და აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ეხება ასევე შესყიდვაში მონაწილე პირების ქვეკონტრაქტორებსაც.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელდება გამარჯვებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს საუკეთესო პირობებს, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება ერთი პრეტენდენტი.

შესყიდვაში მონაწილე პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ სატენდერო წინადადების ალტერნატიული ვარიანტი.

დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: ხაზინის ერთიანი ანგარიში **N200122900**, საქართველოს ეროვნული ხაზინა **220101222**, სახაზინო კოდი **300513174**. აუცილებლად უნდა მიეთითოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

**დამატებითი ინორმაციისათვის მიმართეთ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N16, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ლევან ბასილაური, ტელ: 8 250 7 31 05, 855 227 229.**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობისათვის.

1. **შესყიდვის ობიექტის დასახელება:**

გზების ხრეშითა და ასფალტით ორმოული შეკეთების სამუშოები.

**2**. სამუშაოების შესრულების ვადა ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან, სავალდებულო - 4 თვე.

**3.** ტენდერში მონაწილეობის მსურველები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ 2009 წლის 4 მარტიდან 2009 წლის 23 მარტის 18 საათამდე, თითოეულ ლოტზე სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, მისამართზე ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ. N13. III სართული, II ოთახი. გამგეობის არქიტექტურის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

**4.** სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი გადარიცხული უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300503174.

**5.** პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს 3 კალენდარული დღის განმავლობაში 2009 წლის 24 მარტიდან 26 მარტის 18 საათამდე. ქ. გურჯაანი ნონეშვილის ქ.N13-ში. III სართული, II ოთახი. გამგეობის არქიტექტურის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

6.1**. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: სრული დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი, გვარი, საბანკო რეკვიზიტები;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან ქონებაზე ყადაღის არარსებობის თაობაზე;

გ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

დ) ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და წესდების ასლები;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

ვ) ცნობა სასამარლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრებაზე ლიკვიდაციის და სანაციის საქმის წარმოება;

ზ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

თ) ინფორმაცია არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ი) ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;

კ) ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ნუსხა, შესრულების ვადებისა და დამკვეთის მითითებით.

**6.2 დამატებით ფიზიკური პირებისათვის**:

ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკურ პირს მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

**7.** განცხადებაში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები და მოთხოვნები, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირისათვის შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

**8.** სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე მონაწილეობის მსურვლებს შესაძლებლობა ეძლევათ სატენდერო დოკუმენტაციას გაეცნოს სატენდერო კომისიის აპარატში

**9.** შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: ქ.გურჯაანი ნონეშვილის ქ N13. III სართული, II ოთახი. გამგეობის არქიტექტურის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

ტელ: 895 903305 ირაკლი მინდიაშვილი.
895 227558 რუსუდან ქიტიაშვილი **სატენდერო კომისია**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ. N13
საიდენტ. კოდი 227765022
სს“საქართველოს ბანკის“ გურჯაანის N59
სერვის-ცენტრი. ბანკის კოდი 220101502.
ა/ა 269335700.

## იყიდება ფართი ჭავჭავაძის 17ა-ში

*ფართობი:* **საოფისე ფართი ევრორემონტით** *1 684 კვ.მ.*
**სარდაფი** *334 კვ.მ.*
**ავტოფარეხი** *525 კვ.მ.*

**სულ:** *2 543 კვ.მ.*

*ფასი: 1 900 000 დოლარი*
*(შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში)*
ტელ: 22 17 65; 877 955 707.

## პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**

# სპორტი

## ქევხიშვილის რეკორდი

ამერიკაში მცხოვრები ქართველი ბირთვის მკვრელი მარიამ ქევხიშვილი წარმატებულ სერიას აგრძელებს. მან კენტუკის შტატის ქალაქ ლექსინგტონში 27 თებერვლიდან პირველ მარტამდე მიმდინარე საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე ბირთვი 17.94 მეტრზე კრა. ამ შედეგით მან 33 მონაწილეს შორის ტურნირზეც გაიმარჯვა და პირადი რეკორდიც გააუმჯობესა.

ამასთან, 17.94 სანტიმეტრი სარეკორდო მაჩვენებელი გამოდგა დახურულ დარბაზში გამართულ მძლეოსანთა საუნივერსიტეტო შეჯიბრებებზე ბირთვის კვრაში ქალთა შორის. ასე რომ, მიმდინარე სეზონზე ქართველი მძლეოსანი სულ უფრო აუმჯობესებს შედეგიანობას. შეგახსენებთ, რომ ქევხიშვილმა წელს ამერიკის საუნივერსიტეტო ჩემპიონატებზე ზედიზედ ხუთჯერ გაიმარჯვა (წინა ტურნირების შედეგები - 17.35, 17.16, 17.17, 17.10).


ქევხიშვილი ამერიკაში წარმატებით გამოდის

ყველაფერი განრიგის მიხედვით მიმდინარეობს. ჩემს მწვრთნელთან ერთად დასახული მაქვს კონკრეტული გეგმა და ჯერჯერობით ყველაფერი ამ გეგმას ექვემდებარება. შედეგს ნელ-ნელა ვაუმჯობესებ. ქალაქ ლექსინგტონში პირადი რეკორდიც დავამყარე. ახლა ცოტას დავისვენებ და ამერიკის ნაციონალური ჩემპიონატისთვის მოვემზადები, რომელიც 13-14 მარტს გაიმართება. მინდა ამერიკის ჩემპიონატზეც მაღალი შედეგი ვაჩვენო , - განუცხადა ქართველმა სპორტსმენმა სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის ოფიციალური ვებგვერდის წარმომადგენელს.

## ბორჯღალოსნებმა მეთოთხმეტე ადგილი დაიბრუნეს

რაგბის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში საქართველოს ნაკრებმა ორიოდე კვირის წინ პორტუგალიასთან ფრედ დამთავრებული მატჩის შედეგად დაკარგული მე-14 პოზიცია დაიბრუნა. "ბორჯღალოსნებს" ესპანელთა დიდი სხვაობით ძლევის შედეგად (55:11), 0,75 სარეიტინგო ქულა დაემატათ, ჯამში 69,23 ქულა მოუგროვდათ და კანადა კვლავ მე-15 ადგილამდე დააქვეითეს. ერთა თასზე მომდევნო ორ მატჩს ბორჯღალოსნები ჯერ რუმინეთის ნაკრებთან, შემდეგ კი რუსებთან გამართავენ. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს მომავალ მეტოქეებს რეიტინგში ურიგო ადგილი არ უკავიათ, მათი დამარცხების შემთხვევაში, სრულიად რეალური იქნება, რომ ქართველები კიდევ უფრო დაწინაურდნენ. მეცამეტე ადგილზე მყოფი ტონგას ნაკრები სულ ცოტათი უსწრებს ბორჯღალოსნებს . ამავე დროს მომდევნო ორ მატჩში წარუმატებლობა ქართველთა რეიტინგზე ცუდად იმოქმედებს.

რეიტინგის 20 მოწინავე გუნდს შორის რამდენიმე ცვლილება განხორციელდა, რაც ძირითადად ევროპის "ერთა თასისა" და "ექვსი ერის" მატჩებით არის განპირობებული. ექვს ერზე საფრანგეთთან მარცხი ძვირი დაუჯდა უელსის ნაკრებს, რომელმაც სარეიტინგო ქულები დაკარგა და მეოთხე ადგილი კვლავ არგენტინას დაუთმო. სამაგიეროდ, ერთი საფეხურით აღზევდა საფრანგეთი, რომელმაც ინგლისის ირლანდიასთან მარცხით იხეირა და მას ადგილი გაუცვალა. ერთი პოზიციით უკან დაიხია იტალიის ნაკრებმა, რომელმაც შოტლანდიასთან 6:26 წააგო.

ბუქარესტში რუსეთის ნაკრებთან 19:28 მარცხის გამო ორი ადგილით გაიუარესა მდგომარეობა რუმინეთის ნაკრებმა, რომელსაც რუსებმა და იაპონელებმა გაასწრეს. სავარაუდოდ, რეიტინგში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდება 14 მარტს - ამ დღეს "ექვსი ერის" მატჩები იმართება, საქართველოს ნაკრებმა კი რუმინეთს უნდა უმასპინძლოს.

**IRB-ს რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1.ახალი ზელანდია | 92,68 |
| 2.სამხრეთ აფრიკა | 89,45 |
| 3.ავსტრალია | 85,86 |
| 4.არგენტინა | 81,56 |
| 5.უელსი | 81,47 |
| 6.ირლანდია | 81,18 |
| 7.საფრანგეთი | 80,14 |
| 8.ინგლისი | 79,68 |
| 9.შოტლანდია | 76,19 |
| 10.ფიჯი | 75,24 |
| 11.სამოა | 72,57 |
| 12.იტალია | 72,56 |
| 13.ტონგა | 70,05 |
| **14.საქართველო** | **69,23** |
| 15.კანადა | 69,12 |
| 16.იაპონია | 68,05 |
| 17.რუსეთი | 66,91 |
| 18.რუმინეთი | 66,58 |
| 19.აშშ | 63,55 |
| 20.ურუგვაი | 62,78 |
| 21.ესპანეთი | 59,73 |
| 22.პორტუგალია | 59,56 |
| 23.კორეა | 59,02 |
| 24.ჩილე | 56,84 |
| 25.ნამიბია | 56,82 |
| 26.გერმანია | 55,74 |

## ასპროცენტიანი ფაჩულია

NBA-ს რეგულარულ სეზონში მორიგი მატჩი გამართა ატლანტა ჰოუქსმა . ქორები ვაშინგტონს ეწვივნენ და ერთი დღით ადრე კლივლენდთან განცდილი დასანანი მარცხის გამო დედაქალაქელ ჯადოქრებზე იყარეს ჯავრი. თამაში ჯორჯიელთა უპირატესობით წარიმართა და ატლანტამ ანგარიშით 98:89 მოიგო. ბრწყინვალე სტატისტიკა ჰქონდა ზაზა ფაჩულიას. საერთოდ, ბოლო ორი მატჩი ქართველ ცენტრს კარგად გამოუვიდა. კლივლენდთან შეხვედრაში ზაზას ორმაგ დუბლამდე ორი მოხსნა დააკლდა. მართალია, ვაშინგტონში ზაზას მონაგარი უფრო მოკრძალებული იყო, მაგრამ მნიშვნელოვანია სხვა სტატისტიკური მაჩვენებელი. ზაზას არც ერთი ბურთი არ გაუფუჭებია და, შეიძლება ითქვას, რომ ასპროცენტიანი შედეგიანობა აჩვენენა.

მწვრთნელმა ქართველი ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე დატოვა და მას მხოლოდ 18 წუთი მისცა სათამაშოდ. დროის ამ მონაკვეთში ფაჩულიამ თავის გუნდს 10 ქულა შესძინა და 5-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი.


ზაზა ფაჩულია მეტოქის ფარს უტევს

თამაშიდან ორი ტყორცნა შეასრულა და ორივე ზუსტად, საჯარიმოს ხაზიდან კი მას ექვსჯერ მიეცა ფარის დალაშქვრის შანსი. ქართველის ექვსივე ტყორცნა ზუსტი აღმოჩნდა. ფაჩულიამ მისთვის განკუთვნილ 18 წუთში ბურთი არც ერთხელ არ დაკარგა და მხოლოდ ერთი პერსონალური შენიშვნა მიიღო.

არანაკლებ შთამბეჭდავად ითამაშა ზაზას მთავარმა კონკურენტმა ალ ჰარფორდმა. მას სათამაშოდ 41 წუთი მისცეს და მან მატჩი 16 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა. ატლანტელთა შორის საუკეთესო იყო მარვინ უილიამსი, რომელმაც საკუთარ აქტივში 28 ქულა, 4 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა. სატურნირო თვალსაზრისით ამ გამარჯვების შემდეგ ატლანტასთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. ქორები საკუთარ დივიზიონში ისევ მეორე ადგილზე არიან, აღმოსავლეთ კონფერენციაში კი - მეოთხეზე. მომდევნო მატჩს ატლანტა ნიუ იორკში, ნიქსის წინააღმდეგ გამართავს.

### სამი ქართული კლუბი რეიტინგში

საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHS) ახალ საკლუბო რეიტინგში სამი ქართული გუნდი მოხვდა - თბილისის დინამო , ზესტაფონი და თბილისის ვიტ ჯორჯია .

დინამოს 80 ქულა მოუგროვდა და 241-ე ადგილიდან 204-ეზე აღმოჩნდა. 70 ქულით 280-ე პოზიციიდან 274-ეზე აინაცვლა ვიტ ჯორჯიამ , ხოლო ზესტაფონი 67 ქულით 349-ე საფეხურიდან 29-ეზე აღმოჩნდა.

IFFHS-ს რეიტინგში, რომელშიც, ტრადიციულად, 350 გუნდი მოხვდა, ქართული კლუბების უკან აღმოჩნდნენ პორტუგალიური ბენფიკა , რუსული რუბინი და დინამო , იტალიური ტორინო , კატანია და რეჯინა , ინგლისური ბოლტონი , ნიუკასლი , სანდერლენდი და ვესტ ჰემი , ესპანური ალმერია , გერმანული ჰანოვერი და სხვები.

### იაშვილი და ხოჯავა გოლებით გამოირჩნენ

ქართველი ფეხბურთელებით სავსე მახაჭკალის ანჟიმ საკონტროლო მატჩი ბელარუსის კლუბ გომელთან გამართა და, სანდრო იაშვილისა და გოჩა ხოჯავას გოლების მიუხედავად, საყაიმო ანგარიშს (2:2) დასჯერდა.

36-ე წუთზე ანგარიში გახსნა იაშვილმა, ხოჯავამ კი ანჟი კიდევ ერთხელ 65-ეზე დააწინაურა, თუმცა, მახაჭკალელებმა ანგარიში ვერ შეინარჩუნეს.

ანჟის მთავარმა მწვრთნელმა ომარ თეთრაძემ კახაბერ ალადაშვილი, გიორგი ნავალოვსკი, ოთარ მარცვალაძე და სანდრო იაშვილი პირველ ტაიმში ათამაშა, ედიკ საჯაია და გოჩა ხოჯავა კი შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ მინდორზე.

5 მარტს ქართველთა გუნდი დაუპირისპირდება ლატვიურ ვენტსპილსს , რომლის ღირსებას ზურაბ მენთეშაშვილი იცავს.

### ˝ბატემ˝ დეკანოსიძე დაიწუნა

ბელარუსის ბატემ , რომელიც მორიგ მოსამზადებელ ციკლს თურქეთის კურორტ ბელეკში გადის, ქართველ ფეხბურთელ ლაშა დეკანოსიძესთან კონტრაქტი გაწყვიტა. ბორისოველთა ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, თანამშრომლობა ორმხრივი სურვილის საფუძველზე დასრულდა. 21 წლის ნახევარმცველი ბატეში თბილისის დინამო-2 -დან გადავიდა.

### ˝სკონტომ˝ ფინალი წააგო

თურქმენეთის პრეზიდენტის თასი მოიპოვა აშხაბადის მტტუ-მ, რომელმაც ფინალში დავით გამეზარდაშვილისა და ვლადიმერ დვალიშვილის სკონტოს 1:0 სძლია.

რიგელებმა ნახევარფინალში სომხურ განძასარს 3:2 მოუგეს, საჩემპიონო მატჩში კი აშხაბადელებთან (რომელთაც ჯგუფურ ეტაპზე 2:0 სძლიეს) ვერაფერი გააწყვეს.

მესამე ადგილისთვის მატჩში ლევან ბუბუტეიშვილის, დავით ხანიშვილისა და მიხეილ თაყაძის განძასარი აშხაბადთან 1:2 დამარცხდა.

### ნეპომნიაშჩი სირაძეს აკვირდება

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა დავით სირაძემ, რომელიც ამჟამად თბილისის ლოკომოტივთან ერთად ვარჯიშობს, შესაძლოა, რუსეთის პრემიერლიგის კლუბ ტომსკის ტომში გააგრძელოს კარიერა.

იმის გამო, რომ მწვავე ფორვარდს ვეძებთ, ამ ფეხბურთელის კანდიდატურა მართლაც შემოგვთავაზეს. თუმცა, სირაძის შესაძლებლობებს კარგად არ ვიცნობ. ახლა მისი მონაწილეობით ჩატარებული მატჩების ვიდეოჩანაწერებს ვუყურებ და შესაძლოა ამის შემდეგ რაიმე გადაწყვეტილება მივიღო. გუნდის შემადგენლობაში მყოფი უცხოელი ფეხბურთელების რაოდენობა ჯერჯერობით სხვა ლეგიონერებზე დაკვირვების საშუალებას გვაძლევს , -განაცხადა ტომსკის მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ნეპომნიაშჩიმ. გასულ წელს სირაძე ნალჩიკის სპარტაკში გამოდიოდა და რუსეთის პრემიერლიგაში ჩატარებულ 27 მატჩში 4 გოლი გაიტანა. თებერვალში მან თურქეთში შეკრებაზე მყოფ გროზნოს ტერეკს ჩააკითხა და კლუბთან კონტრაქტიც უნდა გაეფორმებინა, მაგრამ ქართველი ფორვარდის ჩეჩნურ კლუბში ტრანსფერი არ მოხერხდა.

### მსაჯთა სემინარი და ტესტირება იმერეთში

1-2 მარტს ქუთაისში დასავლეთ საქართველოს რეგიონების (იმერეთი, აჭარა, სამეგრელო, გურია) მსაჯებისა და მსაჯთა დამკვირვებლებისთვის ჩატარდა სემინარები თეორიაში და ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, სემინარში მონაწილეობდა 25 მსაჯი და 18 მსაჯთა დამკვირვებელი, რომლებიც რეგიონული ლიგის მატჩებს მოემსახურებიან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა განყოფილების ხელმძღვანელმა ამირან კაჭახიძემ სემინარის მონაწილეებს შესაბამისი სამკერდე ნიშნები, ფიფას ფეხბურთის წესების წიგნები და სხვადასხვა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

## იტალიასა და საფრანგეთში მიკროჩიპიან ბურთს გამოიყენებენ

საფეხბურთო საზოგადოება უახლოეს ხანში დაუბრუნდება თამაშისას გოლის გატანის ელექტრონული შესაძლებლობების გამოყენების იდეას. გასულ წელს ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის კონგრესზე ამ იდეას ენთუზიაზმით არ შეხვედრიან, თუმცა, ბოლო ხანს ტექნოლოგიების განვითარების ფაქტმა კიდევ ერთხელ წამოჭრა ეს საკითხი. ამ იდეის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ბურთში ჩაიდება მიკროჩიპი, რომელიც კარის გადაკვეთის ყველა შემთხვევას დააფიქსირებს მსაჯის საათზე. იტალიამ და საფრანგეთმა უკვე გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიიღონ ახალი მეთოდის აპრობაციაში. ექსპერიმენტი ამ ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მეორე დივიზიონში ჩატარდება. გამორიცხული არ არის ახალი ტექნოლოგიის გამოცდა მოეწყოს ჩრდილოამერიკული საფეხბურთო ლიგის თამაშებისას. როდის დაინერგება ეს სიახლე საყოველთაო წესის სახით, ჯერჯერობით უცნობია.

## რუსული ფეხბურთის ბიუჯეტი 49 მილიონია

რუსეთის პროფესიონალური ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი სერგეი პრიადკინი აცხადებს: "წლიური ბიუჯეტი ამ ეტაპზე 49 მილიონი დოლარია. ძალიან გვინდოდა ეს თანხა გაგვეზარდა, მაგრამ ფინანსურმა კირიზისმა აქაც იჩინა თავი. ლიგა ძლიერი პარტნიორებიდან "როსტელეკომმა" დატოვა. ეს ნიშა კი "ტრანსტელეკომმა" შეავსო."

## ხოსეპ გვარდიოლა: "რეალთან" უპირატესობას შევინარჩუნებთ"

სამიოდე ტურის წინ "ბარსელონას" 12-ქულიანი უპირატესობა "რეალთან" თვალსა და ხელს შორის გაქრა და ბოლო ტურში მადრიდის "ატლეტიკოსთან" მარცხის (3:4) შემდეგ ოთხ ქულამდე შემცირდა. "ამ მატჩის დროს ჩვენ უფრო იშვიათად ვფლობდით ბურთს, ვიდრე სხვა თამაშებში, - ამბობს "ბარსელონას" მთავარი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა, - ასეთ დროს კი დიდი ყურადღებაა საჭირო. "ატლეტიკო" სწორხაზოვან ფეხბურთს თამაშობს, რაც უამრავ პრობლემას გვიქმნიდა. 2:0 რომ წავიყვანეთ ანგარიში, გადაწყობაც კი ვერ მოვახერხეთ, რომ მეტოქემ ერთი გოლი გაქვითა. თამაშის ბოლოს კი დადგა საკითხი - ჩაგვერთო თუ არა მთელი ძალები გამარჯვების მოპოვებისთვის. არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ "ბარსელონას" კრიზისი დაეწყო, რომ გუნდი ახლა უფრო მალე იღლება. ჩვენ ყოველთვის გამარჯვებისკენ ვისწრაფით და ასე იქნება მომავალშიც. მართალია, "რეალი" მოგვიახლოვდა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, უპირატესობას შევინარჩუნებთ," - აცხადებს გვარდიოლა.

## ბრუკნერი ავსტრიის ნაკრებიდან წავიდა

ავსტრიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კარელ ბრუკნერმა ორშაბათს პოსტი დატოვა. ასეთი გადაწყვეტილება ჩეხმა მას შემდეგ მიიღო, რაც გაიმართა სატელეფონო საუბარი მასა და ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლეო ვინდტნერს შორის. ბრუკნერი 2008 წლის ივლისში ჩაუდგა ნაკრებს სათავეში, მას შემდეგ, რაც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შემდეგ დატოვა ჩეხეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი.

## ბეგირისტაინმა უარყო

ბარსელონას სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა უარყო პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს მისმა კლუბმა მიუნხენის ბაიერნის ფრანგი ნახევარმცველი ფრანკ რიბერი გადასვლაზე დაითანხმა.

რიბერისთან არავითარი მოლაპარაკება არ გაგვიმართავს, - აღნიშნა მან, - ბაიერნთან ჩინებული ურთიერთობა გვაქვს და ჩვენ რომ მათი რომელიმე მოთამაშე გვაინტერესებდეს, ისინი ამას პირველები შეიტყობდნენ.

ცხადია, ის ძალიან კარგი მოთამაშეა. მაგრამ ისეთი ფეხბურთელები, ბარსას სტილს ბოლომდე რომ შეეწყობიან, სხვებიც არიან, - დასძინა ბეგირისტაინმა.

გასულ კვირაში კატალონიური პრესა დაჟინებით ავრცელებდა ინფორმაციას ბარსას მიერ რიბერის შეძენის თაობაზე. El Mundo Deportivo -მ ისიც კი დააზუსტა, თითქოს კატალონიური კლუბი ბაიერნს მის სანაცვლოდ 30 მილიონ ევროსა და 27 წლის ბელარუს ნახევარმცველს ალექსანდრ გლებს, ხოლო თავად მას ოთხწლიან კონტრაქტს და წელიწადში 5 მილიონ ევროს სთავაზობდა.

## ბრემენელთა დანაკლისი

მიუნხენის ბაიერნთან კვირას შინ ფრედ დასრულებულმა შეხვედრამ ბრემენის ვერდერი ორმაგად აზარალა:

მატჩში დიდებულად მოთამაშე მეკარე კრისტიან ფანდერმა განმზიდავი კუნთი დაიზიანა და შაბათს შინ ჰოფენჰაიმთან გასამართ მატჩში ვერ დაეხმარება გუნდს; ხოლო ბრაზილიელ მცველ ნალდოს, რომელმაც მატჩის მე-15 წუთზე ბასტიან შვაინშტაიგერის მოცელვისთვის წითელი ბარათი მიიღო, გერმანის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომისიამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია შეუფარდა.

იმის გამო, რომ ვერდერის პირველი მეკარე ტიმ ვიზე ჯერაც არ გამოკეთებულა, მწვრთნელ ტომას შააფს კლუბის მესამელიგური გუნდის მეკარეებიდან - ნიკო პელაციდან და სებასტიან მიელიციდან - ერთ-ერთის არჩევა მოუწევს.

რაც შეეხება ნალდოს, მისი დისკვალიფიკაცია სათასო თამაშებზე არ ვრცელდება.

# ინგლისელი ფიგარო



აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ

ამ ცოტა ხნის წინ უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ თავისი გულისწყრომა გამოთქვა დევიდ ბექჰემის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის გამო. როგორც გახსოვთ, თავდაპირველი შეთანხმებით, მილანს ბექსი სამთვიანი იჯარით ჰყავდა აყვანილი და პლატინის ეს ამბავი არ მოეწონა. თუ ასე გაგრძელდა, იმასაც მოვესწრებით, რომ კლუბები ფეხბურთელებს ერთი თამაშისთვის იყიდიან. ასეთი ტრანსფერები ფეხბურთის დაცინვაა , - თქვა პლატინიმ და მაშინ ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა ვითარება მართლაც კომიკურამდე მისულიყო.

მილანმა ბექჰემის დატოვება ისურვა, რაზეც ამერიკული კლუბისგან თითქმის კატეგორიული უარი მიიღო. ორ კლუბს შორის მოლაპარაკებათა პროცესი იანვრის შემდეგ მიმდინარეობს და, თუ უცხოურ მედიას დავუჯერებთ, მილანი და გელექსი შეთანხმდნენ კიდეც. კომპრომისი მიღწეულია, მხარეები კმაყოფილი არიან, თუმცა ის, რაზეც ამერიკული და იტალიური მხარეები შეთანხმდნენ, ცოტა არ იყოს, სასაცილოა.

ტელეკომპანია CBS-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რომელიც არც იტალიურ მხარეს უარუყვია და არც ამერიკულს, ბექჰემი მილანში ევროპული საფეხბურთო სეზონის ბოლომდე დარჩება, ივლისში კი, როცა ამერიკული მეიჯორ ლიგა გახურდება, ბექსი ლოს ანჯელეს გელექსიში დაბრუნდება. ასე გაგრძელდება იანვრამდე, იანვრიდან ზაფხულამდე კი დევიდი ისევ მილანის ფეხბურთელი გახდება. როდემდე გაგრძელდება ასე, ძნელი სათქმელია. მოკლედ, ბექჰემი ერთდროულად ორი კლუბის ფეხბურთელია და ხან ამერიკაში ითამაშებს, ხან - ევროპაში. ინგლისელი ფიგარო ფეხბურთში - ალბათ ეს მეტსახელი მოუხდება ახლა მსოფლიოს ყველაზე რეკლამირებულ ფეხბურთელს.

საინტერესოა, რომ გელექსი ამ შეთანხმებაში 10 მილიონ დოლარს მიიღებს. ბექჰემს კი ამერიკელებთან კონტრაქტის გაწყვეტის საშუალება მომავალი წლის შემდეგ ექნება.

# დაჭუნებული ხუთეული

როგორც ჩანს, რომან აბრამოვიჩს მობეზრდა ახალი ფეხბურთელების შეძენაზე ფულის ხარჯვა და მომავალ ზაფხულში ჩელსის ფეხბურთელების საყიდლად თავად დასჭირდება თანხის მოძიება. ამისთვის კლუბს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დატოვებს.

ინგლისური მედიის ინფორმაციით, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ არისტოკრატთა რიგებს დატოვებენ დიდიე დროგბა, მიხაელ ბალაკი, დეკო, ფლორინ მალუდა და ალექსი.

ცხადია, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ კლუბში გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გუნდს დატოვებს და მათ ნაცვლად ახლებს შევიძენთ, - აცხადებს ლონდონური კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბრიუს ბაკი, - ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენი ფეხბურთელი წავა გუნდიდან. სამი, ოთხი, შესაძლოა ხუთიც ფეხბურთელების გაყიდვიდან შემოსული თანხა გუნდის გაძლიერებას და ახალი მოთამაშეების შეძენას მოხმარდება. არც ის არის გამორიცხული, რომ ტრანსფერებზე გარკვეული თანხა რომან აბრამოვიჩმაც გამოყოს .



დროგბა "ჩელსის" დატოვებს

მართალია, ბაკს არ დაუსახელებია ფეხბურთელების გვარები, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომელი წამყვანი ფეხბურთელების გაშვებაზეა საუბარი. დროგბას კონტრაქტს არ უგრძელებენ, რაც იმის მანიშნებელია, რომ კოტდივუარელს გაყიდიან. ბალაკის შეძენა თავის დროზეც უაზრობა იყო - როდესაც გუნდს ჰყავს ლამპარდი, ბალაკი ზედმიეტი ფუფუნებაა. თანაც გერმანელს უჩვეულოდ დიდ ხელფასს უხდიან. დეკო ჩელსის ვერ შეეწყო. თანაც გაპორტუგალიელებული ბრაზილიელის შეძენის მთავარი ინციატორი ლუიშ ფელიპე სკოლარი იყო, რომელიც ჩელსიდან უკვე წავიდა. რაც შეეხება ალექსს და მალუდას, ფრანგი ლონდონურ კლუბში ჩვეულ დონეზე ვერ ათამაშდა, ალექსის დონის მცველები კი ჩელსიში საკმაოდ არიან.

# კრესპო ინტერს დატოვებს

"ინტერის" ფორვარდმა ერნარ კრესპომ, რომელმაც იტალიის სერია "ა"-ში თავისი გუნდი "რომასთან" მატჩში წაგებისგან იხსნა, განაცხადა, რომ სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე ის ახალი კლუბის მოძებნას შეუდგება და აღარ დარჩება "ინტერში".

კრესპოს კარიერას სერიოზული ზიანი მიაყენა ჟოზე მოურინიომ. თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი მოურინიომ რატომღაც აითვალწუნა. თავის დროზე კრესპო ჩელსიში მიიწვიეს. მაშინ ლონდონურ კლუბს კლაუდიო რანიერი ედგა სათავეში და ერნანიც ყოველთვის თამაშობდა არისტოკრატთა ძირითადში. შემდეგ ჩელსიში მოურინიო მივიდა და კრესპომ ძირითადში ადგილი დაკარგა.

ლონდონის შემდეგ კრესპომ მილანს მიაშურა და მანჩინისეულ ინტერში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო, მაგრამ ინტერში მოურინიო დაინიშნა და კრესპო ისევ სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. რაც მთავარია, მოურინიო კრესპოს ტრანსფერზეც არ აყენებს. პორტუგალიელი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რომ ერნანი ჩელსიდან გაეშვათ. არც ინტერიდან უშვებს. არადა, ზამთარში არგენტინელს რეალიც იწვევდა.

ასაკში შესული კრესპო სერიოზულად დაფიქრდა კლუბის შეცვლაზე და ზაფხულში აუცილებლად წავა კიდეც ინტერიდან .

"მე ვიზეიმე "რომასთან" გატანილი გოლი. ამ დროს სიხარულსაც განვიცდიდი და მძვინვარებასაც. ამ გოლს ვუძღვნი ჩემს პატარა ქალიშვილებს, რომლებიც ყველაზე კარგად ხედავენ, რამდენად ხშირად ვბრუნდები შინ ცუდ გუნებაზე. მომავალ სეზონში აუცილებლად შევიცვლი კლუბს", - ამბობს კრესპო.

ჯერჯერობით უცნობია, სად გადავა კრესპო სათამაშოდ, თუმცა ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ არგენტინელი ფორვარდის შეძენის მსურველი მრავლად იქნება. კლუბის შეცვლის წყალობით, კრესპომ შესაძლოა არგენტინის ნაკრებშიც დაიბრუნოს ადგილი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობისათვის.

1. **შესყიდვის ობიექტის დასახელება:**

**ლოტი 1.** გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლებში (კაჭრეთი, მახარაძე, არაშენდა, დარჩეთი, ქოდალო, ჯიმითი, ნანიანი, ჩალაუბანი, მელაანი, კარდენახი, ბაკურციხე) წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია.

**ლოტი 2.** გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ. გურჯაანსა და სოფლებში (გურჯაანი, ჭანდარი, კოლაგი, ვეჯინი, ძირკოკი, ჩუმლაყი, ახაშენი, მუკუზანი, ზეგაანი, ველისციხე, ვაზისუბანი, შაშიანი, კალაური, ვაჩნაძეანი) წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია.

**2**. სამუშაოების შესრულების ვადა ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან, სავალდებულო - 4 თვე.

**3.** ტენდერში მონაწილეობის მსურველები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ 2009 წლის 4 მარტიდან 2009 წლის 23 მარტის 18 საათამდე, თითოეულ ლოტზე სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარის) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, მისამართზე ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ. N13. III სართული, II ოთახი. გამგეობის არქიტექტურის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

**4.** სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი გადარიცხული უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300503174.

**5.** პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს 2009 წლის 24 მარტს 10 საათიდან -18 საათამდე. ქ. გურჯაანი ნონეშვილის ქ.N13-ში. III სართული, II ოთახი. გამგეობის არქიტექტურის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

6.1**. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: სრული დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი, გვარი, საბანკო რეკვიზიტები;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან ქონებაზე ყადაღის არარსებობის თაობაზე;

გ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

დ) ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და წესდების ასლები;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

ვ) ცნობა სასამარლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრებაზე ლიკვიდაციის და სანაციის საქმის წარმოება;

ზ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

თ) ინფორმაცია არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ი) ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;

კ) ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ნუსხა, შესრულების ვადებისა და დამკვეთის მითითებით.

**6.2 დამატებით ფიზიკური პირებისათვის**:

ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკურ პირს მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

**7.** განცხადებაში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები და მოთხოვნები, როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირისათვის შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

**8.** სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე მონაწილეობის მსურვლებს შესაძლებლობა ეძლევათ სატენდერო დოკუმენტაციას გაეცნოს სატენდერო კომისიის აპარატში

**9.** შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: ქ.გურჯაანი ნონეშვილის ქ N13. III სართული, II ოთახი. გამგეობის არქიტექტურის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

ტელ: 895 903305 ირაკლი მინდიაშვილი.
895 227558 რუსუდან ქიტიაშვილი **სატენდერო კომისია**
გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ. N13
საიდენტ. კოდი 227765022
სს“საქართველოს ბანკის“ გურჯაანის N59
სერვის-ცენტრი. ბანკის კოდი 220101502.
ა/ა 269335700.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სხვადასხვა დასახელების ავტოტრანსპორტის საბურავების** (საქონლის თანმდევი მომსახურებით) **შესყიდვაზე** (საქონლის თანმდევი მომსახურებით) **და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა ჩარიცხონ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, **რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900**, გადახდის დოკუმენტში უნდა მიეთითოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის **სხვადასხვა დასახელების ავტოტრანსპორტის საბურავების** (საქონლის თანმდევი მომსახურებით) **შესყიდვაზე** სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შედეგ მისამართზე: ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზ. №72; მე-2 სართული, რის შემდეგაც პრეტენდენტებს გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა 2009 წლის 4 მარტიდან 2009 წლის 26 მარტის 18 საათამდე;

1. შესყიდვის ობიექტი: 1 ლოტად

| ლოტი № | | საქონლის დასახელება | ტექნიკური მონაცემები | რაოდენობა | საქონლის მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | საბურავი | 12.00-18 | 16 | ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, ხოლო მთლიანი საქონლის მიწოდების საბოლოო ვადაა 2009 წლის 20 დეკემბრი. | საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში მიმწოდებლის შესაბამის მისამართზე. |
| | 2 | საბურავი | 175/70რ13 | 94 | | |
| | 3 | საბურავი | 185/70რ14 | 76 | | |
| | 4 | საბურავი | 195/65რ15 | 84 | | |
| | 5 | საბურავი | 195რ14ც | 16 | | |
| | 6 | საბურავი | 205/55რ16 | 8 | | |
| | 7 | საბურავი | 205/60რ15 | 8 | | |
| | 8 | საბურავი | 205/60რ16 | 40 | | |
| | 9 | საბურავი | 205/70რ14 | 4 | | |
| | 10 | საბურავი | 205/70რ16 | 80 | | |
| | 11 | საბურავი | 215/55რ16 | 32 | | |
| | 12 | საბურავი | 215/90რ15ც | 20 | | |
| | 13 | საბურავი | 225/55რ16 | 20 | | |
| | 14 | საბურავი | 225/70რ16 | 12 | | |
| | 15 | საბურავი | 235/85რ16 | 120 | | |
| | 16 | საბურავი | 245/45რ18 | 8 | | |
| | 17 | საბურავი | 255/50რ19 | 12 | | |
| | 18 | საბურავი | 285/45რ19 | 12 | | |
| | 19 | საბურავი | 255/55რ18 | 8 | | |
| | 20 | საბურავი | 255/65რ16 | 8 | | |
| | 21 | საბურავი | 265/70რ16 | 20 | | |
| | 22 | საბურავი | 31X10,50რ15 | 12 | | |
| | 23 | საბურავი | 7,50რ16 | 8 | | |
| | 24 | საბურავი | 235/45რ17 | 8 | | |
| | 25 | საბურავი | 275/70რ16 | 16 | | |
| | 26 | საბურავი | 275/65რ17 | 12 | | |
| | 27 | საბურავი | 215/65რ15 | 12 | | |
| 1 | 28 | საბურავი | 185/65რ14 | 8 | | |

საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, ხოლო საქონლის მიწოდების დასრულების საბოლო ვადაა 2009 წლის 20 დეკემბერი,

2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილიში (მომწოდებლის შესაბამის მისამართზე).
3. მიწოდების წესი და გადახდის გრაფიკის პირობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში;
4. ტენდერზე პრეტედენტების მიერ წარმოადგენილ უნდა იქნას, საბურავების მწარმოებელი ქვეყნის, ფირმის, ხარისხის და ტექნიკური პირობების დამადასტურებელი დოკუმეტაცია;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 27 მარტს 12:00 საათიდან 16:00 სათამდე, ხოლო ტენდერი ჩატარდება და პაკეტების გახსნა განხორციელდება 2009 წლის 27 მარტს 16:00 საათზე, შემდეგ** მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №72.
6. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას (თანდართული დოკუმენტებს) თან უნდა დაერთოს მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის შესახებ შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**7.1** **იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის:**
7.1.1 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
7.1.2 ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის (ინდ/მეწარმის) მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
7.1.3 ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის (ინდ/მეწარმის) ქონებაზე არ არის ყადალა დადებული;
**7.2** **ფიზიკური პირებისათვის:**
7.2.1 პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტი;
7.2.2 სასამართლოდან ცნობა ფიზიკური პირი ქმედუნარიანობის შესახებ;
**7.3** **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**
7.3.1 ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი, პრეტედენტი არ არის რეგისრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტედენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.
7.3.2 ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ - საგადასახადო ინსპექციიდან;
7.3.3 ცნობა საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) და შესაბამისი რეკვიზიტების შესახებ – მომსახურე ბანკიდან;
7.3.4 ცნობა საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ - მომსახურე ბანკიდან;

8. წარმოდგენილ უნდა იყოს ასევე სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები.
9. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდება წარმომდგენ პრეტედენტებს.
10. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-7 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
11. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
12. ტენდერში ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი;
13. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
14. ტენდერში გამოყენებული იქნება **სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1 %-ის ოდენობით და ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2 %- ის ოდენობით.**
15. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას;
16. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება;
17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:
18. **გია სამადალაშვილი 877 595051; ზვიადი მანჯგალაძე 877 987003; 41-24-51.**

**სატენდერო კომისია**

---

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# The New York Times offers a “window" to the world




- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.

- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.

- The best from The New York Times.


ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

# ქალ-ვაჟებს 52 კვირა დაუთვალეს



*ანა ივანოვიჩი რეიტინგის პირველ ნომერს დიდი სხვაობით - 4568 ქულით ჩამორჩება*

52 კვირის შეჯამების შედეგად ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) საკუთარი რეიტინგი გამოამზეურა, რომლის მიხედვით უმცროსი უილიამსი პირველ საფეხურზეა, ხოლო უფროსი - მეხუთეზე.

უწინდელი ვერსიისგან განსხვავებით, ჩოგბურთის სამყაროს ცვლილებები არ შეხებია. როგორც მაშინ, ახლაც საუკეთესო ათეულში უმრავლესობა რუსები არიან - მათ ხუთი საფეხური უკავიათ. ორ-ორი საფეხური უკავიათ ამერიკელებსა და სერბებს.

რეიტინგის პირველი საფეხური ისევ სერენა უილიამსის სამფლობელოა, ხოლო ვინუსი, რომელმაც ერთი კვირის წინ აკაპულკოს ტურნირი მოიგო, მეხუთე საფეხურს ინარჩუნებს.

ქალებისგან განსხვავებით, ATP რეიტინგის საუკეთესო ათეულში მხოლოდ ერთი ცვლილებაა. იმის გამო, რომ აკაპულკოს ტურნირის ფინალში გავიდა, ფრანგმა გაელ მონფისმა მეათიდან მეცხრე საფეხურზე გადაინაცვლა და ესპანელ ფერნანდო ვერდასკოსთან როქი გადაითამაშა.

ვაჟთა რჩეულ ათეულში ორ-ორი საფეხური ესპანელებსა და ფრანგებზე მოდის.

**WTA რეიტინგი:**

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 9982 |
| 2. დინარა საფინა (რუსეთი) | 9021 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 8400 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 7886 |
| 5. ვინუს უილიამსი (აშშ) | 7092 |
| 6. ვერა ზვონარევა (რუსეთი) | 6320 |
| 7. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 5414 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 4953 |
| 9. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 3882 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 3448 |

**ATP რეიტინგი:**

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 14360 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 11000 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 9420 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 7400 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 4955 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 4440 |
| 7. დელ პოტრო (არგენტინა) | 4290 |
| 8. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 3925 |
| 9. გაელ მონფისი (საფრანგეთი) | 3550 |
| 10. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 3330 |


თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით

SLT - ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის
უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80



გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად
დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი